კვირეული ბიულეტენი „ვერსია“ ერთი

ვერსია

№36 (1578) 6-12 ოქტომბერი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

სამი ამორალური მკვლელობა

როგორ ამოწყვიტა მამაკაცმა დის ოჯახი

რა ეღირება მიშას

ვინ დაარწმუნა საქართველოში ჩამოსვლაზე და რატომ დუმს ოპოზიცია

როგორია კახა კალაძის „მეტი სიცოცხლე ყველა უბანში“

პროექტები, რომლებიც დედაქალაქში განხორციელდა

რა ქონებას ფლობს საქართველოში და ვინ არიან დავით კეზერაშვილის ბიზნესპარტნორები

თავდაცვის ექსმინისტრის უცნობი ქონებრივი დეკლარაცია

არჩილ გამზარდია: „მეორე ტურში სახელისუფლებო კანდიდატებს შანსი მეტი აქვთ!“

„სააკაშვილი მელიაზე ეჭვიანობს“

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია საარჩევნო პროცესში გამოვლენილ კანონდარღვევებთან დაკავშირებით

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის დირექტორმა, ქეთევან კოვზიაშვილმა საარჩევნო პროცესში გამოვლენილ კანონდარღვევებზე ბრიფინგი გამართა.

„გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს, არჩევნების მიმდინარეობის დროს გამოვლენილი ინციდენტებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან აღნიშნულ ინციდენტებზე მომხდარი რეაგირების შესახებ. საერთო ჯამში, არჩევნები მშვიდ ვითარებაში ჩატარდა. ამ დროის მონაცემებით, პოლიციამ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, სისხლის სამართლის 16 საქმეზე დაიწყო გამოძიება. კერძოდ:

სამართალდამცველებმა, ფონიჭალის დასახლებაში მდებარე N30 საარჩევნო უბანთან მომხდარ ფიზიკური დაპირისპირების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყეს, რაც ძალადობას გულისხმობს;

ყვარლის რაიონულ სამმართველოში, N10 საარჩევნო უბანთან განხორციელებულ ძალადობის ფაქტზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო;

რაც შეეხება ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ნადუქნარში, N22 საარჩევნო უბანში მომხდარ დაპირისპირების ფაქტს, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სამართალდამცველებმა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით დაიწყეს, რაც კენჭისყრის შენობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ ძალადობას გულისხმობს;

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ დაშტაფაში მდებარე N52 საარჩევნო უბანში მომხდარ დაპირისპირების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს. აღნიშნულ ფაქტზე დაკავებულია ერთი პირი;

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კიროვაკანში მდებარე N50 საარჩევნო უბანზე დამკვირვებლებს შორის მომხდარ სიტყვიერი დაპირისპირების ფაქტზე გამოძიება, ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს;

სენაკში, N7 საარჩევნო უბანთან მომხდარ დაპირისპირების ფაქტზე, სენაკის პოლიციაში გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს;

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოში, N48 საარჩევნო უბანთან მომხდარ დაპირისპირების ფაქტზე, ქვემო ქართლის პოლიციამ გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, რაც კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ძალადობას გულისხმობს;

ასევე, მარნეულში, სოფელ ყიზილაჯლოს N83 საარჩევნო უბანში განხორციელებული თავდასხმის ფაქტზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ძალადობას გულისხმობს.

გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო გამოძიება გარდაბანში, გუშინ საღამოს მომხდარ დაპირისპირების ფაქტთან დაკავშირებით;

ქალაქ ზუგდიდში, N84 საარჩევნო უბანში მედიის წარმომადგენლების მიმართ პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე ზუგდიდის პოლიციამ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაიწყო;

კიდევ ერთი გამოძიებაა დაწყებული თბილისში, კიევის ქუჩაზე მდებარე N24 საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით;

ასევე, 3 ოქტომბერს, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ კუთვნილ საარჩევნო-საინფორმაციო ვებ-გვერდზე განხორციელებულ კიბერშეტევის ფაქტზე დაიწყეს გამოძიება, საქართველოს სსკ-ის 285-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 286-ე მუხლის 1-ლი ნაწილით;

ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაცულში, N19 საარჩევნო უბანში საარჩევნო ურნისა და სარეგისტრაციო ჟურნალის დაზიანების ფაქტზე პოლიციამ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 163-ე მუხლით დაიწყო;

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოს N48 საარჩევნო უბანში არაერთგზის ხმის მიცემის ფაქტზე პოლიციამ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე სეკუნდა მუხლით დაიწყო;

სამართალდამცველებმა გამოძიება დაიწყეს ლანჩხუთში, სოფელ მამათში მომხდარ ძალადობის ფაქტზე და თბილისში, ნაკადულის ქუჩაზე, ერთ-ერთი საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე მომხდარ ქურდობის ფაქტზე.

პოლიციამ კენჭისყრის დღეს, საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე, მიღებული შეტყობინებებისა და მედიაში გავრცელებული ინფორმაციების საფუძველზე, 200-მდე ინციდენტზე მოახდინა რეაგირება. საარჩევნო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით, თითოეულ ფაქტზე, პოლიციამ განახორციელა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები – დადგენილი წესის შესაბამისად, პირველ ჯერზე შესაბამის პირებს მითითება მიეცათ და მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაჯარიმდა მოქალაქე ადმინისტრაციული წესით – 2000 ლარის ოდენობით.

პოლიციის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობისა და ხულიგნობის გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ადმინისტრაციული წესით პოლიციამ 7 პირი დააკავა, მათ შორის, მარნეულში – 3 პირი, ასპინძაში – 2 პირი, ლანჩხუთში – 1 პირი და თბილისში 1 პირი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს აქტიურად თანამშრომლობას საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებთან, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სახალხო დამცველის აპარატთან“, – განაცხადა კოვზიაშვილმა.

შინაგან საქმეთა მინისტრი სახალხო დამცველს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა სახალხო დამცველთან, ნინო ლომჯარიასთან შეხვედრა გამართა. შეხვედრას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, შალვა ბედოიძე და მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე, ასევე, ომბუდსმენის მოადგილე, გიორგი ბურჯანაძე.

შეხვედრაზე მხარეებმა წინასაარჩევნო პერიოდში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ისაუბრეს და ბოლო დროს დაფიქსირებული ინციდენტები განიხილეს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა და სახალხო დამცველმა საარჩევნო პერიოდში შესაძლო დარღვევებზე ინფორმაციის გაზიარებისა და მყისიერი რეაგირების მიზნით, აქტიური თანამშრომლობისთვის მზაობა გამოთქვეს.

აჭარისა და იმერეთის პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის ორი პირი დააკავა, მათ შორის, ნარკორეალიზატორი – ამოღებულია დიდი ოდენობით „კოკაინი“ და 147 აბი „სუბოქსინი“

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ქობულეთის რაიონული სამმართველოს და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვადასხვა დროს, ნარკოდანაშაულის ბრალდებით, უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე – 1991 წელს დაბადებული უ.ჰ და 1975 წელს დაბადებული მ.ი. დააკავეს.

ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, უ.ჰ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით, ბათუმში დააკავეს.

დანაშაული 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული სისტემატურად ახდენდა ნარკოტიკების უკანონო რეალიზაციას.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ბრალდებულისგან ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვის ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა განახორციელეს.

პოლიციამ ბათუმში, ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო ნარკოტიკის უკანონო რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული – 5000 ლარი. სამართალდამცველებმა, ასევე, ნივთმტკიცებად ამოიღეს დაკავებულის მიერ უკანონოდ გაყიდული დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება „კოკაინი“.

ბრალდებული მ.ი. კი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით, ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი „სუბოქსინის“ 147 აბი და ფული ამოიღეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 მე-5 და მე-6 ნაწილების „ა“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

რა ელის მიშას

ვინ დაარწმუნა საქართველოში ჩამოსვლაზე და რატომ დუმს ოპოზიცია

ნინო დოლიძე

მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა – ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ჩამოვიდა, თან ისე ჩამოვიდა, რომ რისკები არ დააზღვია ანუ კი ამბობდა, დაჭერისთვის მზად ვარო, მაგრამ ალბათ, ეგონა, რომ მის დაჭერას „მეორედ მოსვლა“ მოჰყვებოდა – ხალხი იხუვლებდა, ქუჩაში გამოვარდებოდა და ენმ-ს დამფუძნებლის სასწრაფოდ გათავისუფლებას მოითხოვდა. სამართლიანობისთვის უნდა ვთქვათ, რომ 4 ოქტომბერს, რუსთავის მე-12 სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან, სადაც სააკაშვილი იმყოფება, ენმ-ს, უფრო სწორად, ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერები კი შეიკრიბნენ, მაგრამ მათი რაოდენობა იმდენი არ იყო, რომ ახალი „ვარდების რევოლუცია“ მიგვეღო.

მოკლედ, დღევანდელი მონაცემებით, ისე ჩანს, რომ მიშას ვიღაცამ „მაგრად აჭამა“ ანუ როგორც „ვერსიას“ კულუარებში უყვებიან, ენმ-ს ცალკეული წარმომადგენლები ექსპრეზიდენტს არწმუნებდნენ, მთელი ქვეყანა გელოდება და დროზე ჩამოდიო. ჰოდა, როგორც ჩანს, მიშამაც დაიჯერა და იმ რისკზეც კი წავიდა, რომ დღენახევარი „ტრაილერის“ სავენტილაციო მილში გაეტარებინა.

რა იქნება ახლა? – ვიღაცებს იმედი აქვთ, რომ ხელისუფლებაზე იგივე დასავლეთი ზეწოლას მოახდენს და სააკაშვილი საპატიმროს მალე დატოვებს, მაგრამ მმართველი გუნდის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ექსპრეზიდენტი სასჯელს მთლიანად მოიხდის.

ის, რომ სააკაშვილმა სასჯელი ბოლომდე მოიხადოს, არარეალური სულაც არ არის. კი, ბატონო, ის უკრაინის მოქალაქეა და უკრაინას შეუძლია, მისი, ასე ვთქვათ, ექსტრადირება მოითხოვოს, მაგრამ ამისთვის თავად სააკაშვილის ნებართვაა საჭირო ანუ ექსპრეზიდენტი თანახმა უნდა იყოს, რომ უკრაინას გადასცენ და სასჯელი იქ მოიხადოს, მაგრამ ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციით, მიშა უკრაინაში „გამგზავრებაზე“ თანახმა არ არის.

ვთქვათ, ისე მოხდა, რომ სააკაშვილი ექსტრადირებაზე დაითანხმეს, რა ხდება შემდეგ? – როგორც იურისტები განმარტავენ, ასეთ შემთხვევაში, მისი გათავისუფლების რამდენიმე გზა არსებობს. ერთი ისაა, რომ ზელენსკიმ შეიწყალოს. მეორე ის, რომ ამნისტია შეეხოს, თუმცა ამის მიუხედავად, მას ნასამართლეობა დარჩება.

კიდევ ერთი გზა, რომლითაც სააკაშვილმა, შეიძლება, საპყრობილე დატოვოს, საერთაშორისო საზოგადოების შუამდგომლობაა, თუმცა იგივე საქართველოს პრეზიდენტი ამბობს, რომ ექსპრეზიდენტს არ შეიწყალებს. იგივეს აცხადებს ქვეყნის პრემიერიც. კერძოდ, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ექსპრეზიდენტი სასჯელს ბოლომდე მოიხდის.

„სრული პასუხისმგებლობით მინდა გითხრათ, სააკაშვილი სრულად მოიხდის სასჯელს, დღეის მდგომარეობით, მას 6 წელი აქვს მისჯილი, ბოლო ინსტანციით არის გამყარებული მისი ეს ბრალი და სასჯელი. პლანეტის ნებისმიერი ადამიანი რომ ჩამოვიდეს და გვთხოვოს, გვითხრას, მოგვიწოდოს, დღეს, ხელისუფლებაში საკაშვილის გამომშვები არავინ არ არის. სააკაშვილი ახლა დაჟინებით ითხოვს, უკრაინაში დამაბრუნეთო. რომ გააცნობიერა, რომ ციხეშია და ძალიან მძიმედ არის, თანამშრომლებს ეუბნება, სასწრაფოდ დამაბრუნეთ უკრაინაშიო. წარმოგიდგენიათ, ეს კაცი რა მდგომარეობაშია?! რატომ ჩამოვიდა, რატომ დაიჯერა ბრიყვულად, რომ აქ ჩვენ გვეძინა და არაფერი არ მოჰყვებოდა მის ამ შემოპარვას?! ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენ ვსაუბრობთ კაცზე, რომელიც 9 წლის განმავლობაში, პრეზიდენტი იყო, კატასტროფაა და შეურაცხმყოფელია, რომ მან საკუთარი ნებით დათმო ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა. თუ მას უნდა უკრაინაში დაბრუნება, მას შემდეგ, რაც ის სრულად მოიხდის სასჯელს, ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, შეუძლია, ნებისმიერ ქვეყანაში დაბრუნდეს“, – აცხადებს პრემიერი.

ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილი ერთ მნიშვნელოვან განცხადებასაც აკეთებს ანუ საზოგადოებას განუმარტავს, თუ რა ბინძურ პროვოკაციაზე აპირებდა წასვლას საქართველოში ჩამოსული სააკაშვილი.

„ძალიან მოკლედ ვეტყვი ჩვენს მოსახლეობას, რაოდენ ბინძურ პროვოკაციაზე იყო წამსვლელი ეს კაცი, მაგრამ ამის საშუალება არ მივეცით ჩვენ. კულმინაციის დროს, მაქსიმუმ 10 ათასი კაცის მობილიზებას, ალბათ, შეძლებდნენ. პოლიციას, ბუნებრივია, მოუწევდა მაშინ მისი დაკავება, მათ შორის, სპეცსაშუალებების გამოყენება. აი ამ დროს, ერთ-ერთ ვერსიად განიხილავდნენ რამდენიმე ოპოზიციური ლიდერის მკვლელობას. პირდაპირ გიცხადებთ, შიდა ინფორმაცია არის. მათი ერთ-ერთი ვერსია იყო, ბოლომდე რომ მომხდარიყო ჩვენი ხელისუფლების დელეგიტიმაცია. ამ შემთხვევაში, სრულად დავკარგავდით ლეგიტიმურობას, უცხოეთში აჩვენებდნენ, აი, ნახეთ, რა ხდება, პირდაპირ ხოცავენ ოპოზიციის ლიდერებს. რეალურად, მაშინ მოითხოვდნენ არა მარტო სააკაშვილის გათავისუფლებას, არამედ, მთავრობის გადადგომას – ეს ერთი და მეორე – ახალი არჩევნების დანიშვნას. თუ გესმით, რა მასშტაბის პროვოკაცია ავარიდეთ ჩვენს ხალხს?!“ – განაცხადა რამდენიმე დღის წინ, პრემიერმა, „იმედისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

სხვათა შორის, თუ კარგად დავაკვირდებით ოპოზიციის ლიდერებს, ყოველ შემთხვევაში, მათ, რომლებიც ენმ-სთან კოლაბორაციაში არ არიან, მიშას დაჭერაზე მაინცდამაინც მწვავე განცხადებები არ გაუკეთებიათ.

რატომ? – ეს, ერთი შეხედვით, რიტორიკული კითხვაა, თუმცა პასუხი მაინც არსებობს ანუ ვის, ვის და, სწორედ ენმ-სთან არააფილირებულ ოპოზიციას აწყობს, რომ მიშა, როგორც პოლიტიკური ცხოველი, არენიდან გავიდეს. თუ ეს მოხდება, მაშინ პოლიტიკური ველიც ორპოლუსიანი აღარ იქნება – გასაგებია, რომ ოფიციალურად, ენმ-ს თავმჯდომარე ნიკა მელიაა, მაგრამ ვინმეს მოსწონს თუ არა, ფაქტია, ეს პარტია, თავიდან ბოლომდე, სააკაშვილთან ასოცირდება. კარგი, დავუშვათ, რომ მელია ენმ-ს გაემიჯნა და თანამოაზრეებიც გაიყოლა, მაგრამ „წასული“ ძირითადად ის ადამიანები იქნებიან, რომლებიც პარტიაში მელიამ მიიყვანა, ესე იგი, ძირძველი „ნაცები“ ისევ ექსმმართველ პარტიაში დარჩებიან და შესაბამისად, ენმ-ც ისევ სააკაშვილთან იქნება ასოცირებული, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მიშას ციხეში ყოფნა დიდი ხნით მოუწევს, მისი პოლიტიკური შარმი ერთგვარად გახუნდება და შესაბამისად, პოლიტიკური ველიც ორპოლუსიანობისგან გათავისუფლდება.

ოპოზიციის ლიდერებს, ალბათ, ამის იმედი აქვთ, მაგრამ პოლიტიკაში გრძელვადიანი პროგნოზისა და გათვლის გაკეთება არცთუ მომგებიანია...

რა თანხა დაუჯდა სააკაშვილს საქართველოში შემოპარვა

ექსპრეზიდენტის სამშობლოში დაბრუნების უცნობი ვერსიები

გათო ჯაფარიძე

იმის მიუხედავად, რომ მიხეილ სააკაშვილი დაკავებულია და რუსთავის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იხდის საჯელს, მაინც პასუხგაუცემელია კითხვა: საიდან და როგორ შემოვიდა საქართველოში ექსპრეზიდენტი? ხელისუფლების მტკიცების მიუხედავად, საზღვრები საიმედოდაა დაცულიო, არსებობს რამდენიმე „დერეფანი“, საიდანაც „გაძრომა“ შესაძლებელია. ისე არ გაიგოთ, რომ ეს მხოლოდ საქართველოს სჭირს, არა, თითქმის ყველა ქვეყანაშია ასეთი დერეფნები და მაგალითისთვის აშშ-ც შეგვიძლია ავიღოთ, სადაც ყოველდღიურად, არალეგალურად გადასვლას ორი ათასზე მეტი ადამიანი ცდილობს და აქედან, მინიმუმ, 10%-ს გამოსდის საზღვრის კვეთა. უფრო ადრე, საბჭოთა კავშირის დროს, საიმედოდ ჩაკეტილი საზღვრის გადალახვასაც ახერხებდნენ და საქართველოს საზღვარი რომ დაირღვეს, საოცარი ნამდვილად არაა.

ზღვისპირეთით დავიწყოთ, რადგან სწორედ იქ გამოჩნდა პირველად სააკაშვილი და ძალიან დიდია ალბათობა, რომ საქართველოში შემოსვლა ან სარფის საბაჟოდან მოახერხა, ან ზღვიდან. საბაჟოდან შემოსვლის ერთადერთი ვარიანტი, რომელიმე ევროპელი ან ამერიკელი დიპლომატის ავტომობილში ყოფნაა. მათი მანქანები და ტვირთი, უბრალოდ, არ იჩხრიკება და მიშას უპრობლემოდ შეეძლო, უკანა სავარძელზე წამოწოლილი შემოსულიყო. თუ ასე მოხდა, ეს საერთაშორისო სკანდალია და გვეეჭვება, რომელიმე დიპლომატს ასე გაერისკა.

რჩება ზღვა.

საქართველოში, ბოლო პერიოდში, მშენებლობები აქტიურად განახლდა და შესაბამისად, „არმატურაზე“ მოთხოვნა გაიზარდა. ამის გამო, ფასმაც საგრძნობლად დაიწია და ტონა „არმატურა“, ლამის ათასი დოლარი გახდა. საქართველოში ჯართი, პრაქტიკულად, აღარ არსებობს, ამიტომ სხვადასხვა ქვენიდან შემოგვაქვს, ჯართის შემოტანის ყველაზე იაფი საშუალება კი გემი და რკინიგზაა. ჰოდა, გემების მფლობელები აკეთებენ სპეციალურ კონტეინერს, სადაც ერთი ან ორი ადამიანი ჩაეტევა და ეს რკინის ოთახი ჯართის გროვაშია დამალული. ასე გადაჰყავთ არალეგალები ქვეყნიდან ქვეყანაში, სწორედ ასე ტოვებენ ძებნილები და „კანონიერი ქურდებიც“ ქვეყნებს. ასე შედიან უკრაინაში რამდენჯერმე გაძევებული პირები უკან და შესაძლებელია, ასე შემოვიდა საქართველოში სააკაშვილიც.

არ გეგონოთ, არალეგალურად მოგზაურობა ძვირი ღირდეს – მაქსიმუმ, 2-დან 6 ათას დოლარამდე, ამ ფასად, სატვირთო გემების ეკიპაჟის წევრები წაყვანა-წამოყვანას არ დაგამადლიან. ყველაზე რეალური, ამ გადმოსახედიდან, სწორედ ამ გზით შემოსვლა ჩანს.

არსებობს კიდევ რამდენიმე შესაძლებლობა. ჯანდარის ტბიდან გადასვლა; საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან სახმელეთო საზღვარი აზერბაიჯანთან, პანკისის ხეობის საცალფეხო ბილიკებით, თუმცა გამორიცხულია, სააკაშვილს ასე გაერისკა და ასე ევლო იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში, უკრაინიდან ჯერ სხვა ქვეყანაში უნდა ჩასულიყო და მხოლოდ ამის შემდეგ – საქართველოში.

მურმან დუმბაძე: „ჩვენი პირველი ამოცანაა, რომ სააკაშვილი ციხიდან დავიხსნათ!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

30 ოქტომბერს, საქართველოს დიდ ქალაქებში მეორე ტური გაიმართება და მნიშვნელოვანია, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ პარტიები ოპოზიციური კანდიდატების მხარდასაჭერად. იქიდან გამომდინარე, რომ გიორგი გახარიას ახლადშექმნილმა პარტიამ 2 ოქტომბრის არჩევნებში მესამე ადგილი მოიპოვა, ცხადია, მნიშვნელოვანია, რა პოზიციას დაიკავებს მეორე ტურში, ოპოზიციური კანდიდატის მხარდაჭერის თვალსაზრისით, თუმცა გახარია ნეიტრალურ პოზიციას აფიქსირებს და საკუთარ ამომრჩეველს არ მიუთითებს, როგორ მოიქცეს საარჩევნო ყუთთან. ამიტომ, საინტერესოა, როგორ გაინაწილებს ექსპრემიერის პარტიის ამომრჩეველთა ხმებს ოპოზიცია და ხელისუფლება. ამ და სხვა პოლიტიკურ თემებზე სასაუბროდ „ვერსია“ გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელ მურმან დუმბაძეს დაუკავშირდა:

„გიორგი გახარიამ უფრო მეტი გაბედულება უნდა გამოიჩინოს“

– ბუნებრივია, მნიშვნელოვანია, ნებისმიერი პარტია, რომელიც ამ ბრძოლაშია შემოსული, რა პოზიციას დაიკავებს. მნიშვნელობა არ აქვს, მცირეპროცენტიანია თუ საშუალო, რადგან თუ ცვლილება გვინდა და ვფიქრობ, რომ ოპოზიციური პარტიების აბსოლუტურ უმრავლესობას ეს უნდა, საკუთარი პოზიცია ყველამ უნდა დააფიქსიროს.

გიორგი გახარიას ნეიტრალური პოზიცია, როდესაც საკუთარ მოქალაქეებს არ მოუწოდებს, რა უნდა გააკეთონ საარჩევნო ყუთებთან, აპოლიტიკური განცხადებაა და მირჩევნია, პოლიტიკოსმა უფრო მეტი გაბედულება გამოიჩინოს და ღიად თქვას, რომ უნდა დაუჭიროს მხარი არსებულ ხელისუფლებას ან გაერთიანებულ ოპოზიციას.

დედაქალაქში ნიკა მელია მელია კი არ იყრის კენჭს მერობაზე, არამედ, მთელი გაერთიანებული ოპოზიცია, რადგან ღიად, საჯაროდ, პარტიების უმრავლესობა მხარს უჭერს შეთანხმებულ კანდიდატს.

მირჩევნია, რომ გახარიამაც ასეთი პოზიცია დააფიქსიროს. ბუნებრივია, სასურველია, რომ ნიკა მელიას დაუჭიროს მხარი, მაგრამ თუ ასე არ უნდა, უნდა ვიცოდე მისი პოზიცია. სჯობს, გაბედოს და ღიად თქვას, რომ მხარს უჭერს არსებულ ხელისუფლებას და არა – ცვლილებებს.

იმ შემთხვევაში, თუ ის ამ პოზიციას არ დააფიქსირებს, პოლიტიკური გამოცდილება მკარნახობს, რომ ეს პოლიტიკური პარტია ნელ-ნელა მოკვდება და არ მინდა არც ერთი პარტიის სიკვდილი.

მინდა, რომ პოლიტიკურ ველზე იყოს, რათა უფრო მეტი ხმა მიიღოს.

– ბატონო მურმან, რითი ხსნით გიორგი გახარიას ამ ნეიტრალურ პოზიციას?

– ვფიქრობ, ეს განცხადება ემოციურ ნიადაგზე გააკეთა... როცა ბიძინა ივანიშვილმა დააარსა „ქართული ოცნება“, მარტო არ შემოვიდა პოლიტიკაში, კოალიცია შექმნა და ამ კოალიციამ დაამარცხა წინა ხელისუფლება.

საქართველოში ხელისუფლებას ყოველთვის ამარცხებს კოალიცია, შევარდნაძეც კოალიციამ დაამარცხა და კომუნისტებიც. ზვიად გამსახურდიას უამრავი პარტია ჰყავდა საკუთარ ბლოკში და ბიძინა ივანიშვილის დამარცხებაც შესაძლებელია მხოლოდ დიდი კოალიციით და არ ვიქნები წინააღმდეგი, რომ ამ კოალიციაში იყოს გიორგი გახარიაც.

– იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურამდე, გახარია პოზიციას ისევ არ დააფიქსირებს, როგორ ფიქრობთ, მისი ელექტორატი ოპოზიციისკენ წავა თუ ხელისუფლებისკენ?

– თუ არ დააფიქსირებს, არ ვიტყვი, რომ ის „ქართული ოცნების“ მომხრეა, მაგრამ ვიტყვი, რომ ის არ არის ცვლილებების მომხრე.

არ ვიცნობ კარგად მის ელექტორატს, ძალიან ახალბედა პარტიაა და ვერ გეტყვით, როგორ მოიქცევა მისი ამომრჩეველი.

– კეთილი... ბატონო მურმან, ამ მოცემულობით, რა გეგმები გაქვთ გაერთიანებულ ოპოზიციას?

– პირველი ამოცანაა, რომ მიხეილ სააკაშვილი დავიხსნათ ციხიდან, რადგან ის არის პოლიტიკური პატიმარი, პოლიტიკური მართლმსაჯულებით გამტყუნებული ადამიანი, რომელიც ზის ციხეში და პარალელურად, უნდა ვიფიქროთ 30 ოქტომბერზე.

ჩვენი გეგმაა, მიხეილ სააკაშვილის ციხიდან დახსნა და ფიქრი იმაზე, რომ 30 ოქტომბერს, ყველა დიდ ქალაქში, სადაც გვაქვს უპირატესობა მოპოვებული, ჩვენი პოზიცია უფრო გაძლიერდეს.

– მეორე ტურში სხვა ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერის იმედი გაქვთ?

– დედაქალაქში იმ პოლიტიკური პარტიის ლიდერმა, რომელსაც მერობის საკუთარი კანდიდატი ჰყავდა, ბატონმა ბადრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ღიად მხარს დაუჭერს ოპოზიციურ კანდიდატს. ვფიქრობ, სხვა პარტიების ლიდერებიც მიბაძავენ და ეს გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

თუ გვინდა ცვლილება, ვადამდელი არჩევნების გარეშე, ამას ვერ მივაღწევთ. კი არ ვაკნინებ თვითმმართველობის როლს, ძალიან მნიშვნელოვანი რგოლია, მაგრამ იმისთვის, რომ ძირეული, ფუნდამენტური ცვლილებები განხორციელდეს ამ ქვეყანაში, დიდი ეროვნული ცვლილების გარეშე, ეს ვერ მოხდება და თუ გვინდა, რომ ეროვნული მთავრობა შეიცვალოს, უნდა მოხდეს დიდ ქალაქებში, რაც გარდაუვლად გამოიწვევს ვადამდელ არჩევნებს.

– ბატონო მურმან, 43%-იანი ბარიერის თემა ამ არჩევნების შედეგებით ხომ მოიხსნა და ვადამდელი არჩევნების საკითხს მაინც აყენებთ?

– რა თქმა უნდა იმიტომ, რომ ცვლილება ვერ მოხდება და დავრჩებით იმ ჭაობში, სადაც ვართ. თუ ჩვენ სასამართლოს რეფორმა დღესვე არ დავიწყეთ, ვიქნებით ამ მდგომარეობაში.

ვადამდელი არჩევნები, ფაქტობრივად, საქართველოს მოქალაქემ დანიშნა. მაგალითად, თბილისში ხელისუფლებამ მიიღო 43%-ზე მეტი? – ვერა და გამოდის, რომ ვადამდელი არჩევნები დაინიშნა.

ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდშიც ასე მოხდა. თუ ნინოწმინდის ან ხულოს შედეგებით უნდათ, რომ ვადამდელი არ დამინიშნონ, ეს ხელისუფლების წისქვილზე არ ასხამს წყალს იმიტომ, რომ ნინოწმინდასა და ხულოში ხელისუფლება იგებდა შევარდნაძის დროსაც და მიხეილ სააკაშვილის დროსაც. ნინოწმინდას ან ხულოს კი არ ვაკნინებ, უბრალოდ, ნინოწმინდას სოფლებში, სადაც მცირე უბნებია, საბჭოთა კავშირი და სუს-ი ადვილად მუშაობს, მაგრამ იქ, სადაც 1000-1500 ამომრჩეველია, სუს-ს მუშაობა უჭირს ანუ სოფლებში ვერა, მაგრამ დიდ ქალაქებში, საბჭოთა კავშირი დამარცხებულია. აქედან გამომდინარე, ვითხოვთ ვადამდელ არჩევნებს, რადგან ეს არის გზა ცვლილებებისთვის.

არჩილ გამზარდია: „მეორე ტურში სახელისუფლებო კანდიდატებს შანსი მეტი აქვთ!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

2 ოქტომბრის არჩევნები დასრულდა და ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები ძნელად პროგნოზირებადია. საქართველოს მესამე პრეზიდენტი საქართველოშია, თუმცა საპყრობილეში და ბევრი ვარაუდობს, რომ მისი ჩამოსვლა ქვეყანაში ბევრ რამეს შეცვლის. პოლიტიკურ ცვლილებად, შესაძლოა, ისიც ჩაითვალოს, რომ დიდ ქალაქებში მმართველმა ძალამ პირველივე ტურში გამარჯვება ვერ შეძლო და მეორე ტური ჩაინიშნა, თუმცა ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა... 2 ოქტომბრის არჩევნებისა და მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შეფასება „ვერსიამ“ ანალიტიკოს არჩილ გამზარდიას სთხოვა:

– ამ არჩევნების შედეგი პროგნოზირებადი იყო. საერთაშორისო ორიენტირიც იმისკენაა, რომ სტაბილური სისტემები არსებობდეს და ნებისმიერი ცვლილება ინსტიტუციური იყოს. ჩანს, რომ ყველაფერი პოლიტიკური ელიტების დონეზე წყდება, არჩევნების ეს შედეგიც ამ ფარგლებში დარჩა და გამოდის, რომ სახალხო პოზიციები კი არაა წარმოდგენილი, არამედ, რომელი უფრო დამაჯარებელად ახერხებს პროცესების მართვას ელიტების ურთიერთობაში. იქნება თუ არა ყველაფერი ეს სტაბილური 2024 წლამდე, ძნელი სათქმელია, მაგრამ არამდგრადი პოლიტიკური პროცესი ამ კუთხით არ ჩანს.

– ფაქტი, რომ დიდ ქალაქებში მეორე ტური დაინიშნა, თქვენთვის რაზე მეტყველებს? ასევე, საინტერესოა, რა შანსი აქვს ოპოზიციას იმ მოსაზრების გათვალისწინებით, რომ მეორე ტურში მმართველ ძალას უფრო მეტი შანსი აქვს ხოლმე?

– ამ მოსაზრებას ვიზიარებ, რომ მეორე ტურში შანსი, სავარაუდოდ, სახელისუფლებო კანდიდატს მეტად ექნება იმის გამო, რომ არჩევანი არის „ტრადიციული“ და ამომრჩევლის ძირითადი ნაწილი მაინც ისეთი ტიპის გადაწყვეტილებას იღებს, რაც ადმინისტრაციულ რესურსს შეუძლია ხელისუფლებისთვის. როგორც წესი, მეორე ტურში აქტივობა მკვეთრად დაბალია ხოლმე. მოქმედებს ისიც, რომ წინა და მიმდინარე ხელისუფლების „ბრენდები“ ეჯიბრებიან ძირითად ნაწილში, თუმცა ის ფაქტი, რომ მეორე ტური ბევრგანაა და მთლიანობაში, ხელისუფლების მხარდაჭერის პროპორცია მკვეთრად ჩამოუვარდება მის წინააღმდეგ მიმართულ ხმებს, ესეც ფაქტორია. ისე, ევროპულ სახელმწიფოებში ტრაგედიად სულაც არ აღიქვამენ ხოლმე 40%-იან შედეგს და არ გულისმხობენ, რომ ასე მარტივად დგება პოლიტიკური ლეგიტიმაციის საკითხი.

ელიტების ეფექტი მიღწეულია, მაგრამ ისე არა, რომ 43%-იან მაჩვენებლთან დაკავშირებით სადაოობა შექმნილიყო და მეორე ტურიც კიდევ უფრო გაამყარებს სახელისუფლებო მაჩვენებელს. შესაძლოა, ალაგ-ალაგ იყოს გამონაკლისი, მაგრამ საერთო სურათს ეს არ ცვლის. ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ მერი ვინ გახდება, ესეც არაა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ის, თუ როგორ დაკომპლექტდება საკრებულოები.

– თბილისს რაც შეეხება, როგორ ფიქრობთ, მეორე ტურში მობილიზდება ოპოზიციური ამომრჩეველი და მელიას გამარჯვების შანსი გაიზრდება?

– ვთქვათ, თბილისში გაიმარჯვა ოპოზიციის წარმომადგენელმა, თვითმმართველობისა და ძალაუფლების დონეზე ეს არ ცვლის სურათს, უბრალოდ, პოლიტიკური მუხტი გაიზრდება. წავა ანალოგიები, რადგან თავის დროზე, რევოლუცია სწორედ თვითმმართველობაში მიმდინარე ცვლილებების შედეგად დაიწყო და ზოგად პოლიტიკურ პროცესს თუ მისცემს რაიმე ბიძგს, ესეც გასარკვევია, რადგან 2021 წელია და არა – 2003. ამას გარდა, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მერი პოლიტიკური ფიგურაა, ვერ წავართმევთ მას აღმასრულებელი ადმინისტრატორის ფუნქციას და შესაბამისად, ნიკა მელია, როგორც პარტიის პოლიტიკური ლიდერი, ამ ფარგლებში ჩაიკეტოს – ამ სურათს მაინცდამაინც ვერ ვხედავ. ეს იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ ოპოზიციის კანდიდატი გაიმარჯვებს, თუმცა, როგორც

„სააკაშვილი მელიაზე ეჭვიანობს“

აღვნიშნე, განსაკუთრებულ ფაქტორად ამას არ მივიჩნევ, რადგან ის ყველანაირად უნდა შეეცადოს, რომ მაქსიმალურად ეფექტიანი იყოს და მხოლოდ პოლიტიკური საქმიანობა საკმარისი არ იქნება, ამიტომ საერთო ჯამში, აწყობს თუ არა, ესეც საკითხავია. სხვა ტენდენციით თუ დავაკვირდებით, უფრო მეტი ალბათობა იმისაა, რომ სახელისუფლებო კანდიდატმა გაიმარჯვოს.

კალაძის პირველივე ტურში გამარჯვება, შესაძლოა, ხელისუფლებას არც აწყობდა, რადგან კახა კალაძეს მაინც ყოველთვის განიხილავდნენ, როგორც ან პოტენციურად „ოცნების“ გუნდიდან წამსვლელს, ან შედარებით ავტონომიურ ძალაუფალს იმიტომ, რომ ის მმართველ ძალაში ერთადერთი პირია, რომელმაც ბიძინა ივანიშვილთან, 2011-12 წლებში, პარტნიორული ფორმატის ურთიერთობა დაიწყო. კალაძეს ჰქონდა ბიზნესი, ძალიან კარგი ბეგრაუნდიც და თუ დანარჩენ შემთხვევაში, უფრო დაქირავებულ როლში აღმოჩნდნენ პოლიტიკური ფიგურები ბიძინა ივანიშვილთან, კალაძე იყო ერთადერთი, რომელიც მის „ქვემოთ“ კი არა, „გვერდით“ იდგა.

– თქვენი აზრით, გახარიას ფაქტორმა ითამაშა თუ არა გადამწყვეტი როლი იმაში, რომ კალაძემ პირველივე ტურში ვერ გაიმარჯვა?

– სოციოლოგიური კონტექსტით რომ შევხედოთ, გახარიამ წაიღო, ძირითადად, „ქართული ოცნების“ ხმები, მაგრამ წაიღო პატარა პარტიების ხმების ნაწილიც. „ოცნებაში“ რომ ყოფილიყო გახარია, ეს, გარკვეულწილად, დაეხმარებოდა კალაძეს პირველივე ტურში გასულიყო, თუმცა თბილისის მერის ფაქტორზე მაინც მგონია, რომ ცოტა გადაჭარბებულია ხოლმე მსჯელობა, რომ ამით პოლიტიკური ძვრების პირობები შეიქმნება. მთლიანობაში შესაფასებელია, გახარიამ რას მიაღწია და ვფიქრობ, განსაკუთრებულს ვერაფერს, უბრალოდ, მეტად შეუშალა ხელი „ქართულ ოცნებას“, გზა გაურთულა...

– მიხეილ სააკაშვილის შესახებაც მაინტერესებს თქვენი მოსაზრება. როგორ ფიქრობთ, რას შეცვლის უახლოეს პოლიტიკურ პროცესებში, საპყრობილეში მყოფი მესამე პრეზიდენტი?

– პირველ რიგში, მოტივაციის მიგნებას რომ ვეცადოთ, რატომ დააჭერინა მიხეილ სააკაშვილმა თავი და ეს უკვე ხელის გულზე დევს, აქ არის რამდენიმე ვერსია – შესაძლოა, პარტნიორებმა, საერთაშორისო მოთამაშეებმა გარანტიების ფარგლებში უბიძგეს, ჩამოვიდა და ეს ჯერ მიღწეული არაა, ან შესაძლოა, ყველა ცდილობს, გააპასიურონ მისი როლი იმიტომ, რომ ზოგადად, ძალიან ენერგიული ადამიანია, ვის მოსწონს ეს და ვის არა – სხვა თემაა.

უნდა გავიხსენოთ, რომ ახალგაზრდა კაცია და არ ფიქრობს, რომ მისი პოლიტიკური ეპოქა დასრულდა. მე პირადად, ამას ვხსნი ცოტა უფრო ლოკალური მიზნებით, რომ ნაციონალურ მოძრაობაში მელიას ფაქტორი უფრო მაღალია, ვიდრე ამას აფასებენ გარედან. ელექტორატის ნაწილი, ცხადია, მიხეილ სააკაშვილზე მოდის, მაგრამ ვფიქრობ, ელექტორატის ნაწილი ბოლო პერიოდში უფრო კონცენტრირდებოდა ნიკა მელიაზე. პარტიაში გუნდის ცვლილება დაიწყო, მელიას კადრები იკავებენ ნელ-ნელა ადგილს და საინტერესო პროცესები მიდის ენმ-ში მას შემდეგ, რაც თავმჯდომარე გახდა ნიკა მელია, ამიტომ მგონია, რომ სააკაშვილი მელიასადმი ეჭვიანობის ფონზე ცდილობს, თავის სტატუს-კვო არ შემცირდეს. იმ პირობებში, როცა მელია იბრძვის, ხან დევნილის როლს ირგებს, ხან ციხეშია, თან ურთიერთობის და ორგანიზატორობის კარგი უნარი აქვს და მგონია, რომ სააკაშვილის მოტივაციაა, დროულად აღიდგინოს სტატუს-კვო, ამიტომ ის ამ ეტაპზე, საკუთარ ელექტორატზე უფრო მუშაობს, რომ არ დაკარგოს და სააკაშვილი მელიათი არ ჩანაცვლდეს. აგრძნობინოს ხალხს, რომ ის არის აწმყო, აქ მყოფი და არა – სხვაგან მყოფი წარსული და აქ მოდის მთელი ეს პროცესი, თუმცა ახლა ზუსტად ამის გაზომვის საშუალება გაჩნდება – რა პროცესები მოჰყვება საკაშვილის ციხეში ყოფნას. არ დაგვავიწყდეს, რომ ის მსჯავრდებულია და ვეჭვობ, ყველაფერ ამას, რამე გარე პროცესი მოჰყვეს, რადგან პატარა პარტიები დადგებიან დილემის წინაშე – ან „აითქვიფონ“ ენმ-სთან, ან შეცდომად ჩათვალონ ამ პარტიასთან გარკვეული კომუნიკაცია. შესაბამისად, შეიძლება, სააკაშვილის პერსონას საერთოდ გაემიჯნონ პოლიტიკურად. ისიც გამოჩნდება, როგორია ენმ-ში მაჯისცემა იმიტომ, რომ პარტიაშიც უნდათ ცვლილებები და თუ ამას მოჰყვება დესტრუქციული პროცესები, მაინც იქნება არა საყოველთაო, სახალხო გამოსვლების ფორმატი, არამედ, წვრილ-წვრილი და შეიძლება, პარტიულ ჭრილში ჩაჯდეს ეს ყველაფერი.

ახლა, როცა სააკაშვილი აქაა, შესაძლოა, უფრო უინტერესო გახდეს, ვიდრე სხვაგან მყოფი და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ზოგად პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენა შეეძლება, რადგან ვხედავთ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ უფრო გაიმყარა ძალაუფლება. ვეღარავინ საუბრობს შედეგების არცნობაზე, 2020 წლისგან განსხვავებით, გადაიდო ვადამდელი არჩევნების პერსპექტივა და ძალაუფლება „ოცნებამ“ გაიმყარა. ამ პროცესში, სააკაშვილის მიმართ მოქალაქეთა დიდ ნაწილს საკმაოდ მკვეთრი პოიზიცია აქვს და მისცემენ თუ არა მას რეალიზაციის საშუალებას, სხვა საქმეა. თან, სააკაშვილს ზოგად სახალხო ლიდერობაზე აქვს აქცენტები. ნიკა მელია თუ დგება პარტიულ ლიდერად, მიხეილ სააკაშვილისთვის ეს სივრცე არასაკმარისია და საქართველოს ლიდერად მიაჩნია თავი. ამ პროცესში, ვფიქრობ, პარტიული ლიდერები, რომლებიც იბრძვიან საკუთარი ბრენდისთვის, მას ამ პათოსში ვერ აჰყვებიან. ვნახოთ, რამდენად ფრთხილად და მშვიდად მიჰყვება ამ პროცესს „ქართული ოცნება“...

– არჩილ, ამ ლოგიკას რომ მივყვეთ და დავუშვათ, სააკაშვილი პარტიულმა ეჭვიანობამ ჩამოიყვანა საქართველოში და ეს ვერაფერს შეცვლის, როგორ წარმოგიდგენიათ, მიხეილ სააკაშვილი ციხეში დიდხანს დარჩება? თუ ექნება გეგმა „ბ“? ჩვენ ხომ საკმაოდ ჭკვიან პოლიტიკოსზე ვსაუბრობთ...

– სააკაშვილი ძალიან ნიჭიერი ადამიანია, მაგრამ რამდენად რაციონალურია, როგორც პოლიტიკოსი, ცალკე საკითხია. როგორც უნდა მიგვაჩნდეს, რომ ის სასტიკი იყო და მათ შორის, ჩემთვისაც არცთუ სასურველია მისი სასტიკი ბუნების გამო, ნაკლებად დამაჯერებელია, რომ ადამიანები ასაკში ისე იცვლებიან, მმართველობის ფორმა ეცვლებათ. ის მაინც ბუნებით უფრო შემოქმედებითი ადამიანია და ვერ ვხედავ, რომ მისნაირი შემოქმედებითი ადამიანი პოლიტიკურ სივრცეში არსებობდეს. ბოლო წლებია, მას აქვს რაღაც იდეალისტური მომენტი და ამიტომაც, შესაძლოა, ამ რაღაცაში შემცდარი აღმოჩდნეს – იდეალებზე ან თვითხიბლზე ააწყოს ეს პროცესი და ეს ასე არ აღმოჩნდეს. მისთვის ძალიან დიდი დარტყმა იყო, რომ მელია ციხეში ჩაჯდა და შესაძლოა, ფიქრობს, როგორც მელია გამოუშვეს რაღაც ფაქტორებით, ეს მასზეც გავრცელდება – როდესაც სააკაშვილს გაქცეულს ეძახდნენ და მელია ციხეში იყო, ეს ძალიან დიდ კონტრასტს ქმნიდა მათსავე მხარდამჭერებში. ეს უნდა აღედგინა, სხვა გზა არ ჰქონდა სააკაშვილს. შესაძლოა, ფიქრობს, რომ მასაც მალე გამოუშვებენ ციხიდან, თუმცა ეს ყველაფერი რამდენად მოხდება, ვერ გეტყვით, მალე ვნახავთ.

როგორია კახა კალაძის „მეტი სიცოცხლე ყველა უბანში“

მაკა რუხაძე

პროექტები, რომლებიც დედაქალაქში განხორციელდა

თბილისის მერის არჩევნების მეორე ტური თვის ბოლოს გაიმართება – ამომრჩეველს არჩევანის გაკეთება უკვე ორ კანდიდატს შორის მოუწევს. „ვერსია“ იმ პროექტებით დაინტერესდა, რომლებიც დედაქალაქის ჯერ კიდევ მოქმედმა მერმა აქამდე განახორციელა. „ჩვენ ერთნი ვართ – მე და თქვენ და აუცილებლად გავიმარჯვებთ. თბილისი კვლავ გაიმარჯვებს“, – მიმართა კახა კალაძემ ამომჩევლებს და ოთხწლიანი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. თუმცა, იქვე დასძინა, რომ თბილისს ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევა აქვს დასაძლევი და ამ პრობლემების გადასაჭრელად, მეორე ვადით კენჭისყრა ამიტომაც გადაწყვიტა. „მეძლევა შესაძლებლობა, დაწყებული რეფორმები თავად გავაგრძელო და სიცოცხლით სავსე ქალაქში, სიცოცხლით გავავსოთ თითოეული თბილისური უბანი თუ ეზო... დღეს, ზუსტად ვიცი, რა სჭირდება მთაწმინდას, საბურთალოს, კრწანისს, ვაკეს, გლდანს, ნაძალადევს, ისანს, სამგორს, დიდუბესა და ჩუღურეთს“...

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკა

ამისთვის, თბილისის ბიუჯეტში 44 000 000 ლარია გათვალისწინებული. უკვე განხორციელდა 320 საგანმანათლებლო და ახალგაზრდული პროექტი; 700 სპორტული პროექტი და ინიციატივა; კულტურის განვითარების 700 პროექტი.

სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშესაწყობად, 5 000 სტუდენტს დაუფინანსდა სწავლის საფასური; 1 400-მა მაგისტრანტმა მიიღო მერიის სტიპენდია, ხოლო 4 000-მა – გაიარა პროფესიული მომზადების პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი, რომლის ფარგლებშიც, 80% უკვე დასაქმდა.

ინკლუზიური პროგრამა – ადაპტირებული ტრანსპორტი ემსახურება 30 საჯარო სკოლის შშმ მოსწავლეებსა და პარასპორტსმენებს; თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრში, 15 პარასპორტულ სახეობაში ვარჯიშობს 217 პარასპორტსმენი; დაფინანსდა 40 სახელოვნებო და საგანმანათლებლო პროექტი.

არაფორმალური განათლების მხარდაჭერა – ამისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 11 000 000 ლარი. მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლეში, 5 000 მოსწავლე ჩართულია საგანმანათლებლო და შემოქმედებით საქმიანობაში, ხოლო 1 200 მოსწავლე უფასოდ სწავლობს.

დაფუძნდა თბილისის ახალგაზრდული ორკესტრი; ყოველწლიურად ტარდება 200-ზე მეტი ღონისძიება, რომელშიც ჩართულია 30 000-მდე ახალგაზრდა; თბილისის სსხვადასხვა რაიონში, მოსწავლე ახალგაზრდობის 9 სახლია, რისთვისაც ბიუჯეტში 2 300 000 ლარია გამოყოფილი; 3 500 ახალგაზრდა ჩართულია საგანმანათლებლო, შემოქმედებით და სპორტულ წრეებში; თბილისის მერია აფინანსებს 2 000 ახალგაზრდის სწავლას.

სახელოვნებო სკოლები – თბილისში, 34 სახელოვნებო სკოლაა, რისთვისაც ბიუჯეტში 2 400 000 ლარია გათვალისწინებული. აქედან ფინანსდება 660 მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლე; 700 მოსწავლე კი არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნების მიზნით.

მუზეუმები – ამისთვის დედაქალაქის ბიუჯეტში 6 000 000 ლარია გათვალისწინებული. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმს; კოტე და სოსო წერეთლების სახლ-მუზეუმს; გალაკტიონის სახლ-მუზეუმს; ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმს; მერიამ გამოისყიდა მერაბ კოსტავას მუზეუმის შენობა, მზადდება რეაბილიტაციის პროექტი;

მუზეუმებში ამოქმედდა 32 „ვორქშოფი“ და საგანმანათლებლო პროგრამა და ამაში ჩართულია 5 000 მონაწილე.

მართვისა და ეკონომიკის პოლიტიკა

თბილისის 2021 წლის ბიუჯეტი, დაპირებული 1 მილიარდი ლარის ნაცვლად, 1 192 526 769 ლარია. აღსანიშნავია, რომ 2018-2021 წლებში, თბილისის მერიის მიერ განხორციელებული მიმდინარე პროექტების ჯამური ბიუჯეტი 4 791 361 419 ლარია. აქედან, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე – 1 937 836 264 ლარი, ხოლო სოციალურ პროექტებზე – 1 343 956 160 ლარი დაიხარჯა.

ოთხი წლის განმავლობაში, თბილისის მერიამ დონორი ორგანიზაციებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან 284 000 000 ლარის დაფინანსება მოიზიდა.

მოზიდული ინვესტიციები – თბილისის გარე განათების პროექტის განსახორციელებლად, დედაქალაქის მერიამ 100 000 000 ლარის ინვესტიცია მოიზიდა; რადიოქალაქის განვითარების პროექტის საპრივატიზაციო საფასური 23 000 000 ლარი იყო, რისთვისაც 8 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია მოიზიდეს; ღბილისის ანძის განვითარების პროექტისთვის მერიამ 5 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია მოიზიდა; გადასასვლელი ხიდების პროექტის ფარგლებში, 16 ადაპტირებული ხიდი განხორციელდა, რასაც 10 000 000 ლარის ინვესტიცია დასჭირდა; კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირების დასაკმაყოფილებლად, 150 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა.

თბილისის მერიისა და ევროკავშირის თანამშრომლობით, შეიქმნა ბიზნეს აქსელერატორი „სპარკი“, რომლითაც 4 310-ზე მეტმა ბენეფიციარმა ისარგებლა. მთლიანობაში, პროექტის ფარგლებში, ბენეფიციარებმა 1 560 000 ლარის ინვესტიცია მოიზიდეს.

მცირე ბიზნესის მხარდაჭერა – ამ მიზნით, თბილისის მერიის ინიციატივით, გამოფენა-გაყიდვა „თბილისის ბაზარი“ გაიმართა. ამ ღონისძიებაში 1 233 ინდმეწარმე მონაწილეობდა, ხოლო გამოფენა-გაყიდვის ბრუნვა 3 342 696 ლარი გახლდათ. მერიის ინიციატივით, მთლიანობაში 100-მდე ბაზრობა გაიმართა.

მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად, მერიამ ფესტივალი – „გაუსინჯე თბილისს გემო“ დაგეგმა. ფესტივალში 271 მეწარმე მონაწილეობდა, ჯამში 7 ფესტივალი გაიმართა, ხოლო სავაჭრო ბრუნვა 682 062 ლარი გახლდათ.

ბიზნესის მხარდასაჭერად, მერიამ კიდევ ერთი პროექტი – COVID-19 დახმარება ბიზნესს განახორციელა. პროექტის ფარგლებში, 1 000 ბენეფიციარი 2 000 000 ლარით დააფინანსეს. კერძოდ, 360 რესტორანი და კვების ობიექტი 1 885 000 ლარით დაფინანსდა; ელექტრონული მუსიკისა და საკლუბო ინდუსტრიის სუბსიდიის სახით, 1 640 679 ლარის დაფინანსება 557-მა ბიზნესსუბიექტმა მიიღო.

გარდა ამისა, დაწესდა სამშენებლო და ფინანსური შეღავათები დაუსრულებელი მშენებლობებისთვის.

ურბანული პოლიტიკა

მნიშვნელოვანია, რომ უკვე დამტკიცდა თბილისის განვითარების ახალი გენერალური გეგმა; აღდგა თბილისის ისტორიული ნაწილის დამცავი ზონა; აიკრძალა სამშენებლო კოეფიციენტების გადამეტება; არ გაცემულა არცერთი სამშენებლო ნებართვა სკვერის, პარკისა და სპორტული სივრცის ტერიტორიაზე.

გენერალური გეგმით, დამატებით განისაზღვრა 4 000 000 კვ.მ. მწვანე სივრცე; ხოლო 138 000 000 კვ.მ.-ზე გავრცელდა სატყეო ზონა.

მნიშვნელოვანია, რომ 466 ავტოფარეხის ნაცვლად, მოეწყო 34 სკვერი. მსხვილი არეალების რეაბილიტაციის ნაწილში, მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა. კერძოდ:

ორბელიანის მოედანს და მიმდებარე ქუჩებზე მდებარე 22 შენობას ჩაუტარდა რესტავრაცია, მათ შორის, 13 ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და ამისთვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან 80 000 000 ლარი გამოიყო;

გუდიაშვილის მოედნისა და მიმდებარე ქუჩებზე მდებარე 30 შენობას ჩაუტარდა რესტავრაცია, მათ შორის, 22 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, ამისთვის ბიუჯეტიდან 100 000 000 ლარი გამოყვეს;

ჩატარდა დედაენისა და 9 მარტის ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რისთვისაც ბიუჯეტიდან 26 372 000 ლარი გამოიყო.

ამჟამად მიმდინარეობს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის რეაბილიტაცია, რისთვისაც ბიუჯეტიდან 33 000 000 ლარია გამოყოფილი; კადეტთა კორპუსის რეაბილიტაცია – ბიუჯეტიდან 13 832 000 ლარია გამოყოფილი და აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის რეაბილიტაცია – ბიუჯეტიდან 3 300 000 ლარია გამოყოფილი.

დასასრული მე-7 გვერდზე

როგორია კახა კალაძის „მეტი სიცოცხლე ყველა უბანში“

ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკა

კაპიტალურად შეკეთდა და რეაბილიტირდა 5 400 000 კვ.მ. ფართობის გზის საფარ, რეაბილიტირდა 903 ქუჩა, ხოლო სამუშაოები ჩატარდა 422 ქუჩაზე.

2018-2021 წლებში, „თბილისის განვითარების ფონდის“ პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში, 93 ობიექტი რეაბილიტირდა. მათგან 74 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია – ამისთვის ბიუჯეტიდან 200 000 000 ლარი გამოყვეს.

ხიდები და გზაგამტარები – აშენდა 3 ახალი გზაგამტარი და რეაბილიტირდა 10 ხიდი; კარტოზია-ცინცაძის ქუჩების გადაკვეთაზე მოეწყო სატრანსპორტო გზაგამტარი; რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია ჩაუტარდა მდ. ვერაზე (ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან) მდებარე საქვეითო ხიდს; მარშალ გელოვანისა და სარაჯიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე მოეწყო ორდონიანი კვანძი; მდინარე მტკვარზე ჩატარდა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის ხიდის რეაბილიტაცია; გლდანის რაიონში, სარაჯიშვილის გამზირზე, კერძოდ, მდ. გლდანულაზე

არსებული ხიდების რეკონსტრუქცია განხორციელდა; ამავე პერიოდში, ფონიჭალის დამაკავშირებელი მიწისქვეშა გზაგამტარი აშენდა, ხოლო მასთან მისასვლელ გზას რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

წყალარინებისა და წყალმომარაგების ქსელების მოწყობისა და რეაბილიტაციისთვის 58 პროექტი განხორციელდა; 1800-მდე ოჯახი ცენტრალურ ქსელზე დააერთეს; წყალგაყვანილობის ქსელი 1200-მდე აბონენტთან შეიყვანეს; საყრდენი კედელი მოეწყო 383 მისამართზე; გამაგრების სამუშაოები ჩაუტარდა 355 ავარიულ საცხოვრებელ სახლს; მიმდინარეობს 62 ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება.

სატრანსპორტო პოლიტიკა

თბილისის ავტოპარკში 680 ახალი, თანამედროვე და ევროპული სტანდარტის ავტობუსია. სრულად ჩანაცვლდა ყვითელი ავტობუსები, რისთვისაც ბიუჯეტში 375 000 000 ლარია გათვალისწინებული.

2018-2021 წლებში, მერიამ მთლიანობაში შეიძინა 536 ერთეული ახალი ავტობუსი; მერია დამატებით შეისყიდის 180 ერთეულ 8-მეტრიან და 200 ერთეულ 18-მეტრიან ავტობუსებს.

დაინერგა ახალი, სამდონიანი სატრანსპორტო ქსელი; ქალაქის მასშტაბით დაიხაზა 34.5 კმ. ავტობუსის განცალკევებული ზოლი.

მიკროავტობუსები – 2021 წლის ბოლოს, თბილისს დაბალი გამონაბოლქვის ევროპული სტანდარტის 1 000 ახალი მიკროავტობუსი ეყოლება. ახალ მიკროავტობუსებში დაინერგება გადახდის სრულად ელექტრონული სისტემა; 2020 წელს, მერიამ შეიძინა 300 ერთეული ახალი მიკროავტობუსი; 2021 წლის ბოლომდე, დამატებით, 700 ერთეული მიკროავტობუსი შემოვა.

მეტრო – თბილისს დაემატა 12 ახალი შემადგენლობა; კაპიტალურად შეკეთდა 79 ვაგონი; 2021 წელს, შეკეთდება 20 ვაგონი; მომდევნო ორი წლის მანძილზე, შემადგენლობა განახლდება 40 ვაგონით.

ინტეგრირებული ტარიფი – საზოგადოებრივ ტრანსპორტში მოქმედ გადახდის ერთიან სისტემას დაემატა ახალი მიკროავტობუსები; ამოქმედდა საბანკო ბარათებით გადახდა ნებისმიერი ტიპის ტრანსპორტში (მეტრო, ავტობუსი, ახალი მიკროავტობუსი); პირველი მგზავრობიდან 90 წუთის განმავლობაში, მგზავრებს შეუძლიათ სხვა ტრანსპორტით უფასო მგზავრობის გაგრძელება.

ტაქსების რეფორმა – 2018 წლის 1 ოქტომბრიდან, სავალდებულო გახდა ტაქსების რეგისტრაცია; 2019 წლის 1 ოქტომბრიდან, ძალაში შევიდა რეგულაცია მარჯვენა საჭიანი და განსხვავებული ფერის მანქანების შეზღუდვაზე; მერია ტაქსის მძღოლებს თეთრად გადაღებვის, ან ფირის გადაკვრის ვაუჩერები გადასცა; A კატეგორიის ტაქსებზე გაიცა ერთიანი სტანდარტის მანათობელი ნიშნები, წარწერით – „TAXI თბილისი“; დარიგდა ქიმწმენდის ვაუჩერები.

თბილისის პარკინგი – პარკირების ოპერატორის ფუნქცია თბილისის სატრანსპორტო კომპანიას გადაეცა; განისაზღვრა ზონალური პარკირების 5 933 ადგილი; ზონალური პარკირება უფასოა, როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის, ასევე, შშმ პირებისა და ელექტრომობილებისთვის; 38 ლოკაციაზე, მოეწყო ელექტრო დამტენის სადგურები.

გარემოს დაცვის პოლიტიკა

ამისთვის დედაქალაქის ბიუჯეტში 195 000 000 ლარია გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ განახლდა 100 ჰა რეკრეაციული სივრცე; მოეწყო 1000 სკვერი, 15 პარკი და 60 მწვანე კუნძული; 14 000 ჰა-ს მიენიჭა სატყეო ზონის სტატუსი; გაშენდა 20 ჰა ტყე; დაირგო 28 000 მწვანე ნარგავი; მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 23 შადრევანს; სარეაკრეაციო სივრცე აქვს ყველა ახალ მშენებლობას; დაირგო 73 000 ძირი ხე; 215 000 ძირი მწვანე ნარგავი; 142 000 ბუჩქი და ბალახოვანი მცენარე.

რაც შეეხება რეაბილიტირებულ პარკებს, ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკი, რომელიც 72 000 კვ.მ.-ია – 4 500 000 ლარი დაჯდა, ხოლო მზიურის პარკის რეაბილიტაცია – 7 800 000 ლარი; მოსკოვის გამზირზე ორკილომეტრიანი შუა ზოლის სრული რეაბილიტაცია, რაც 15 000 კვ.მ.-ია – 3 500 000 ლარი, ხოლო პროექტი „ადამიანი და მზე“ – 3 600 000 ლარი; ვასო გოძიაშვილის პარკის 35 000 ლვ.მ.-ის რეაბილიტაცია 1 900 000 ლარი დაჯდა, ხოლო დედაენისა და 9 მარტის ბაღების რეაბილიტაცია – 17 500 000 ლარი.

რაც შეეხება ახალი პარკების მშენებლობას, ცენტრალური პარკს იპოდრომზე, აფინანსებს ფონდი „ქართუ“, ახალი პარკი აქ 36 ჰა-ზე გაშენდება; იგეგმება მთაწმინდის ფერდის აღდგენა, ახალი პარკი აქ 700 ჰა-ზე გაშენდება და ამ პროექტსაც ფონდი „ქართუ“ აფინანსებს; აშენდება ვარკეთილის ხევის პარკი 18 ჰა-ზე, რაც ბიუჯეტს 16 800 000 ლარი დაუჯდება; აშენდება რიგის პარკი და ბულვარი 40 000 კვ.მ.-ზე, რაც ბიუჯეტს 4 500 000 ლარი დაუჯდება; აშენდება თემქის ხევის პარკი 25 ჰა-ზე – ბიუჯეტიდან ამისთვის 36 000 000 ლარი დაიხარჯება; იგეგმება ვაკის პარკის რეაბილიტაცია, რაც ბიუჯეტს 16 800 000 ლარი დაუჯდება.

ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკა

თბილისის მერიამ ჯანდაცვის 28 პროგრამა 228 305 235 ლარით დააფინანსა. 2018 წლიდან, ჯანდცვის სამი ახალი პროგრამა ამოქმედდა: ტრანსპლანტაციის პროგრამის ფარგლებში, 259 პაციენტი დაფინანსდა. აქედან, ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის 235 შემთხვევა დაფინანსდა – ერთი პაციენტი 10 000-235 000 ლარით; ღვიძლის გადანერგვა დაუფინანსდა 27 პაციენტს – ერთი პაციენტი ფინანსდება 70 000 ლარით.

დაავადებათა სკრინინგის პროგრამის ფარგლებში, უფასო გამოკვლევა ჩაიტარა 121 141-მა მოქალაქემ; არსებულ პროგრამებს დაემატა ფარისებრი ჯირკვლის სკრინინგი; ფინანსდება ძუძუს კიბოს სამკურნალო, ძვირადღირებული მედიკამენტები.

გაფანტული სკლეროზის მედიკამენტების პროგრამით 87 პაციენტი სარგებლობს და ერთი პაციენტი 25 000 ლარით ფინანსდება.

გარდა ამისა, თბილისის მერია სრულად ან ნაწილობრივ აფინანსებს მოქალაქეთა მოთხოვნებს საქართველოსა და საზღვარგარეთ კლინიკებში ოპერაციების, გამოკვლევებისა და მედიკამენტების თაობაზე.

თბილისში 185 საბავშვო ბაგა-ბაღი, 61 000 აღსაზრდელი და 11 000 თანამშრომელია. 2018-2021 წლებში, აშენდა და გაიხსნა 18 საბავშვო ბაგა-ბაღი; რეაბილიტაცია ჩაუტარდა საბავშვო ბაგა-ბაღის 10 შენობას; მიმდინარეობს 2 შენობის აღდგენა; ს100 ბაღში მოწესრიგდა სათამაშო სივრცეები და გარე ინფრასტრუქტურა; გარემონტდა 147 ბაღი; 56 ბაღის ეზოში დაირგო გზის საფარი; 20 ბაღის ფასადს ჩაუტარდა რეაბილიტაცია; პირველად, საბავშვო ბაღების ტერიტორიაზე მოეწყო რაგბის 2 მინი სტადიონი.

მნიშვნელოვანია, რომ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამით, რომელიც 5 000 000 ლარითაა დაფინანსებული. 1 375 პირი სარგებლობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროგრამის დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება.

სოციალური პროგრამები

სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან 9 648 მოზარდი უფასოდ სწავლობს, როგორც მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, ასევე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში; ხელოვნების სკოლებსა და სპორტულ სკოლებში.

სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, პირველ და მეორე ახალშობილზე გაიცემა ერთჯერადად 500-ლარიანი დახმარება; მესამე შვილზე – 800-ლარიანი დახმარება; მეოთხე შვილზე – 1 000-ლარიანი დახმარება; მეხუთე და შემდეგ შვილზე – 1 500-ლარიანი დახმარება.

რაიონული გამგეობების პროგრამების ფარგლებში, სამედიცინო მომსახურებით (ოპერაცია, გამოკვლევა, მკურნალობა, მედიკამენტები) დაკმაყოფილდა 200 000 განაცხადი; უფასო სასადილოებში ფინანსდება 42 652 ბენეფიციარის კვება; ქირის სახით, 25 189 200 ლარის ოდენობის მიზნობრივი ფინანსური დახმარება გაიცა; დაფინანსდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების 5 371 პროექტი.

კოოპერატიული ბინათმშენებლობების პროგრამისთვის ბიუჯეტიდან 963 000 000 ლარია გამოყოფილი. ამ პროგრამის ფარგლებში, დაზარალებული 3 100 ოჯახიდან, 1 350 ოჯახს საკუთრებაში უკვე გადაეცა საცხოვრებელი სახლები.

დაუმთავრებელი მშენებლობების პროგრამა ბიუჯეტიდან 768 000 000 ლარია გამოყოფილი. სულ, თბილისში, 179 დაუმთავრებელი მშენებლობა და 13 000 დაზარალებული ოჯახია; 18 მისამართზე უკვე დაწყებულია მშენებლობა; 33 ობიექტზე გაცემულია რეკომენდაცია და მიმდინარეობს ნებართვების აღების პროცესი.

რა ქონებას ფლობს საქართველოში და ვინ არიან დავით კეზერაშვილის ბიზნესპარტნორები

მაკა რუხაძე

მას შემდეგ, რაც ტელეკომპანია „ფორმულას“ 51%-იანი წილის მფლობელს, დავით კეზერაშვილს უზენაესმა სასამართლომ პატიმრობა დაუსწრებლად მიუსაჯა, „ვერსია“ დაინტერესდა, ტელევიზიის გარდა, რა ქონებას ფლობს თავდაცვის ექსმინისტრი საქართველოში.

თავდაცვის ექსმინისტრის უცნობი ქონებრივი დეკლარაცია

საჯარო რეესტრის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ „ფორმულას“ გარდა, კეზერაშვილის საკუთრებაში კიდევ ოთხი კომპანიაა. ვიდრე იმ ქონებას გაგაცნობთ, რასაც დავით კეზერაშვილი საქართველოში ფლობს, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ თავდაცვის სამინისტრო დავით კეზერაშვილსა და მისი მინისტრობისდროინელი შესყიდვების დეპარტამენტის უფროსს, ალექსანდრე ნინუას სასამართლოში უჩივის.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სარჩელის მოთხოვნა „დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაა“. უწყებამ ამ სარჩელის შეტანა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც უზენაესმა სასამართლომ, 7 სექტემბერს, დავით კეზერაშვილი და ალექსანდრე ნინუა დამნაშავეებად სცნო. კეზერაშვილს სასამართლომ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, თუმცა ამნისტიის შედეგად, სასჯელი განახევრდა.

„სასამართლოების სამი ინსტანციის განაჩენებით დადგენილია, რომ ალექსანდრე ნინუას მიერ, მისთვის დაკისრებული ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებიტორულ დავალიანებად დაერიცხა 5 060 000 ევრო, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. რაც შეეხება დავით კეზერაშვილს, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში არსებული, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრები მიითვისა“, – ვკითხულობთ უწყების პრესრელიზში.

ამის შემდეგ, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ კეზერაშვილის კუთვნილი ტელეკომპანია „ფორმულა“ სასამართლომ დააყადაღა. მოგვიანებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ ტელეკომპანია „ფორმულას“ დაყადაღება დეზინფორმაციაა და სიმართლეს არ შეესაბამება.

ტელეკომპანია „ფორმულას“ დირექტორის, ზურაბ გუმბარიძის განცხადებით, „ფორმულას“ დამფუძნებლისა და თავდაცვის ექსმინისტრის, დავით კეზერაშილის წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილი სარჩელი მათ ტელევიზიას უკავშირდება და მედიის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ნაწილია.

* * *

წლების წინ, დავით კეზერაშვილის კომპანიებთან დაკავშირებით, „ვერსიამ“ რამდენიმე ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარა. შეგახსენებთ, რომ კომპანიები, რომლებსაც კეზერაშვილი საქართველოში ფლობდა, სხვადასხვა ოფშორულ ზონებში იყო რეგისტრირებული და მათ თავდაცვის ექსმინისტრის ოჯახის წევრები, ასევე, ნათესავები განაგებდნენ.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, კეზერაშვილის აქტივების უმეტესობა ბიზნესმენმა, დავით იაკობაშვილმა შეიძინა. იმასაც შეგახსენებთ, რომ იაკობაშვილი თბილისში დაბადებული, მაგრამ რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენი გახლდათ.

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ახალმა ხელისუფლებამ დავით კეზერაშვილი კორუფციაში დაადანაშაულა. კერძოდ, მას ბრალად ედებოდა 12 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ქრთამის აღება უკრაინიდან საქართველოში ეთილის სპირტის შემოტანის კონტრაბანდული სქემის მფარველობის გამო, რაც რამდენიმე წელი გრძელდებოდა, მათ შორის, კეზერაშვილის საჯარო სამსახურში ყოფნის დროს. გარდა ამისა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ, სისხლის სამართლის რამდენიმე საქმე აღიძრა.

ახლა ვნახოთ, კონკრეტულად რომელ კომპანიებს ფლობს დავით კეზერაშვილი საქართველოში. დავიწყოთ ტელეკომპანია „ფორმულით“. უფრო ზუსტად, საჯარო რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ესაა შპს „ფორმულა“, რომელიც თავდაცვის ექსმინისტრმა 2019 წლის 22 ივლისს გაატარა რეგისტრაციაში. ამ კომპანიის გენერალური დირექტორი ზურაბ გუმბარიძეა, ხოლო პარტნიორებს შორის, წილები ასეა გადანაწილებული: მიხეილ მშვილდაძე – 12.25%, ირაკლი საღინაძე – 12.25%, ზურაბ გუმბარიძე – 12.25%, გიორგი ლიფონავა – 12.25% ანუ ჯამში, პარტნიორები „ფორმულას“ აქციების მხოლოდ 49%-ს ფლობენ, საკონტროლო პაკეტი – 51% კი დავით კეზერაშვილის საკუთრებაშია.

აქვე აღსანიშნავია, რომ ტელეკომპანია „ფორმულას“ პარტნიორებს – მიხეილ მშვილდაძეს, ირაკლი საღინაძეს, ზურაბ გუმბარიძესა და გიორგი ლიფონავას აეკრძალათ ტელეკომპანიის კაპიტალში, მათ საკუთრებაში არსებული წილების გასხვისება, გადაცემა, დაგირავება ან რაიმე უფლებით დატვირთვა, მაჟორიტარი პარტნიორისადმი – დავით კეზერაშვილისადმი ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების სრულად დაფარვამდე.

შპს „ფორმულას“ გარდა, დავით კეზერაშვილის საკუთრებაშია შპს „დროება მედია ჯგუფი“, რომელიც საჯარო რეესტრში, 2019 წლის 5 დეკემბერსაა რეგისტრირებული. ამ კომპანიის დირექტორი და 40%-იანი წილის მფლობელი გიორგი თარგამაძეა, ხოლო 60%-იან წილს დავით კეზერაშვილი ფლობს.

საჯარო რეესტრის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ კეზერაშვილის საკუთრებაშია კიდევ ერთი კომპანია – შპს „მედია ჯორჯია“, რომელიც 2012 წლის 3 ოქტომბერსაა (საპარლამენტო არჩევნებიდან ორ დღეში) რეგისტრირებული. კომპანიის დირექტორია გიორგი ფრუიძე, ხოლო 100%-იანი წილის მფლობელი – დავით კეზერაშვილია.

თავდაცვის ექსმინისტრის საკუთრებაშია შპს „უნიგრუპი“, რომელიც საჯარო რეესტრში 2005 წლის 23 თებერვალსაა რეგისტრირებული. ამ კომპანიის დირექტორი გიორგი პირველია, ხოლო 100%-იანი წილი პარტნიორებს შორის, ასეა გადანაწილებული: გიორგი პირველი – 50%, დავით კეზერაშვილი – 50%.

სხვათა შორის, „ვერსიის“ ინფორმაციით, 2012 წლამდე ანუ ხელისუფლების ცვლილებამდე, შპს „უნიგრუპი“, ნავთობპროდუქტების იმპორტიორი კომპანია „ლუკოილის“ პროდუქციის ექსკლუზიური დისტრიბუტორი გახლდათ.

კიდევ ერთი კომპანია, რომელიც საჯარო რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, დავით კეზერაშვილს უკავშირდება, შპს „ლუკას“-ია. ეს კომპანია 2006 წლის 30 ოქტომბერსაა რეგისტრირებული, ოღონდ ქალაქ ფოთში. კომპანიის პარტნიორები არიან: დავით კეზერაშვილი – 50% და ნუკრი ნიჟარაძე – 50%, შპს „ლუკასის“ ერთპიროვნული ხელმძღვანელია ვახტანგ გუგუშვილი.

სამართალი

№36 6 ოქტომბერი 2021 წ

პროკურატურის განცხადება მიხეილ სააკაშვილის დაკავებაზე

საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილი, სამი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით, ცნობილია დამნაშავედ ვალერი გელაშვილის ცემისა და სანდრო გირგვლიანის სისხლის სამართლის საქმეებზე, ხოლო სასჯელის ზომად განსაზღვრული აქვს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით. აღნიშნულ საქმეებზე, სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები საბოლოოა და არ საჩივრდება.

გარდა ამისა, მიხეილ სააკაშვილი ბრალდებულია „ტელეიმედის“ დარბევის, 7 ნოემბრის დარბევისა და პატარკაციშვილების ქონების უკანონოდ დაუფლების, აგრეთვე, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კუთვნილი – 9 024 367 ლარის მისი პირადი მიზნებისთვის გაფლანგვის ფაქტებზე და ამ საქმეებზე მიმდინარეობს განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე, მიხეილ სააკაშვილი სამი ინსტანციის სასამართლოს განაჩენებით, ცნობილია დამნაშავედ სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით), 25.117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ორგანიზება) და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განსაზღვრული აქვს თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლის ვადით.

გამოძიებით დადგენილია, რომ 2005 წლის 14 ივლისს, იმჟამინდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიმართ გამოქვეყნებული შეურაცხმყოფელი სტატიის გამო, მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილისა და ერეკლე კოდუას ორგანიზებით, „სოდი“-ს სპეცრაზმის თანამშრომლები, შურისძიების მიზნით, თავს დაესხნენ პარლამენტის წევრ ვალერი გელაშვილს და ცეცხლსასროლი იარაღის კონდახების გამოყენებით, სასტიკად სცემეს, ასევე, გასტაცეს ცეცხლსასროლი იარაღი, თანხა და ძვირფასი ნივთი. თავდასხმის შედეგად, ვალერი გელაშვილმა მიიღო ცხვირისა და სახის ძვლების მრავლობითი მოტეხილობა, რამაც სახის წარუშლელი დამახინჯება გამოიწვია და სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებად შეფასდა.

სანდრო გირგვლიანის საქმეზე, მიხეილ სააკაშვილი სამი ინსტანციის სასამართლოს განაჩენებით ცნობილია დამნაშავედ პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში გასამართლებულ პირთა წინასწარი შეთანხმებით, შეწყალების ეპიზოდში და საქართველოს სსკ-ის 332 მუხლის მე-2 ნაწილით („ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით), საბოლოოდ, განსაზღვრული აქვს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გამოძიებით დადგენილია, რომ 2006 წლის 27 იანვარს, ქ. თბილისში, კაფე „შარდენ ბარში“, თამარ მერაბიშვილს (სალაყაია), დავით ახალაიას, ოლეგ მელნიკოვს, გურამ დონაძესა და სხვებს, ამავე ბარში მყოფ სანდრო გირგვლიანთან და მის მეგობარ ლევან ბუხაიძესთან მოუხდათ ურთიერთშელაპარაკება. წარმოქმნილი კონფლიქტის საფუძველზე, შურისძიების მიზნით, დავით ახალაიას დავალებით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სანდრო გირგვლიანი და ლევან ბუხაიძე ძალის გამოყენებით გაიტაცეს ქალაქგარეთ, ოქროყანის სასაფლაოზე და ასევე, დავით ახალაიას დავალებით, უმოწყალოდ სცემეს და აწამეს. კუდის თანამშრომლებმა დამცირების მიზნით, გაუსაძლის სიცივესა და ყინვაში გააშიშვლეს ლევან ბუხაიძე, ხოლო სანდრო გირგვლიანის გაშიშვლება შეძლეს წელსზემოთ და მჩხვლეტავი ბასრი საგნის გამოყენებით, სხეულის სხვადასხვა არეში მიაყენეს მრავლობითი ჭრილობები, მათ შორის, 12 ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა კისრის არეში. გარდა ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობებისა, სანდრო გირგვლიანს მიაყენეს ნაკვეთი ჭრილობები მარცხენა ზედა კიდურის არეში. მას სხეულზე, ასევე, აღინიშნებოდა მრავლობითი სისხლნაჟღენთები და ნაჭდევები, რის შედეგად იგი გარდაიცვალა. აღნიშნულ საქმეზე, 2006 წელს, გასამართლებულდნენ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები გ.ალანია, ა.ღაჭავა, მ.ბიბილურიძე და ა.აფციაური, რომლებიც სასჯელაღსრულების N10 დაწესებულებაში იმყოფებოდნენ კომფორტულ და პრივილიგირებულ მდგომარეობაში. სასჯელის მოხდის პერიოდში, საპატიმრო დაწესებულებას ტოვებდნენ ყოველგვარი დოკუმენტაციისა და ნებართვის გარეშე და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან წინასწარი შეთანხმებით, მის მიერ, 2008 წელს შეწყალებულებიც კი იყვნენ.

გარდა აღნიშნული საქმეებისა, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს მიხეილ სააკაშვილის ბრალდების სისხლის სამართლის საქმის განხილვა „ტელეიმედის“ დარბევის, 7 ნოემბრის დარბევისა და პატარკაციშვილების ქონების დაუფლების ფაქტებზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, ძალადობითა და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია) და სსკ-ის 333-ე მუხლის მეორე ნაწილით, (სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების, სახელმწიფოს და საზოგადოების კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია), რაც სასჯელის სახედ და ზომად 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგენილია, რომ 2006-2007 წლებში, „ტელეიმედის“ ეთერში გავიდა არაერთი მწვავე სიუჟეტი, რაც რადიკალურად მიუღებელი აღმოჩნდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის, რომელმაც ბადრი პატარკაციშვილის მიმართ განახორციელა მუქარა, რათა ამ უკანასკნელს ნებაყოფლობით დაეთმო ტელევიზია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მიმართ დაიწყებოდა სისხლისსამართლებრივი დევნა და მოხდებოდა, როგორც „ტელეიმედის“, ასევე, სხვა ქონების იძულებით ჩამორთმევა. მიუხედავად მუქარისა, ბადრი პატარკაშვილმა არ დათმო ტელევიზია და მისი შენარჩუნებისთვის უფრო მეტი გარანტიის შექმნის მიზნით, 2007 წლის ნოემბერში, „ტელეიმედის“ მართვის უფლება აშშ-ში რეგისტრირებულ მედიამაგნატს „NEWS CORP EUROPE Inc“-ს გადასცა.

საზოგადოებაში დაგროვილი მასობრივი უკმაყოფილება ხელისუფლებისადმი, 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციებში გადაიზარდა. 2007 წლის 4 ნოემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარდა თათბირი, რომელსაც სხვა თანამდებობის პირებთან ერთად ესწრებოდა საქართველოს გენერალური პროკურორი, ზურაბ ადეიშვილი. თათბირზე, ივანე მერაბიშვილის მხრიდან გაიცა უკანონო დავალება, რომ ძალოვანი უწყებების გამოყენებით, მომხდარიყო მომიტინგეების ცემა და მათ მიმართ კანონით აკრძალული საშუალებების გამოყენება, რა გზითაც მოხდებოდა ქვეყანაში საპროტესტო ტალღის ჩახშობა.

2007 წლის 7 ნოემბერს, პარლამენტის შენობის წინ მყოფ მოშიმშილე მომიტინგეებს, გაფრთხილების გარეშე, დილის საათებში თავს დაესხნენ ხელკეტით შეიარაღებული პოლიციის თანამშრომლები და ძალის გამოყენებით დაარბიეს. აღნიშნულმა ფაქტმა გამოიწვია საპროტესტო აქციის მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა, რომელთა დასაშლელადაც გამოიყენეს არაპროპორციული ძალა და კანონით აკრძალული არალეტალური იარაღი. სცემეს სახალხო დამცველი, პოლიტიკური პარტიის წევრები, ჟურნალისტები, ხოლო მომიტინგეებს, რომლებიც თავს აფარებდნენ შენობებს, სპეცრაზმი ფიზიკურად გაუსწორდა.

კიდევ ერთი, მიხეილ სააკაშვილის ბრალდების სისხლის სამართლის საქმე, რომლის განხილვაც მიმდინარეობს თბილისის საქლაქო სასამართლოში, შეეხება სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კუთვნილი, 9 024 367 ლარის გაფლანგვის ფაქტს. აღნიშნულ საქმეზე, მიხეილ სააკაშვილი ბრალდებულია 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტითა და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით გაფლანგვა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით), რაც სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგენილია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, სდსს-ის უფროსის, თეიმურაზ ჯანაშიასა და ოთარ ქველიძის მონაწილეობით, მის მიერ, საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივად გამოყენების ფაქტების გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნით, საიდუმლო ფორმით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, მის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი სდსს-თვის გამოყო თანხები.

2009 წლის 1 მაისიდან 2013 წლის 25 თებერვლამდე, მიხეილ სააკაშვილის დავალებითა და ორგანიზებით, მისი პირადი მიზნებისთვის, აღნიშნული თანხიდან არამიზნობრივად დაიხარჯა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 9 024 367.34 ლარი.

აღნიშნული ხარჯების ჩამოწერა სდსს-ის უფროსის, თეიმურაზ ჯანაშიას ხელმძღვანელობით განხორციელდა საიდუმლო დოკუმენტებით, რომლებსაც გრიფი „საიდუმლო“ უკანონოდ მიენიჭა.

იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი, სამი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით, ცნობილია დამნაშავედ და სასჯელის ზომად განსაზღვრული აქვს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით, მიხეილ სააკაშვილი მოთავსდა შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში.

ამასთან გაცნობებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობს გამოძიება, მიხეილ სააკაშვილის მიერ, საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტთან დაკავშირებით, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლით. საქმეზე აქტიურ რეჟიმში ტარდება ყველა საჭირო და საპროცესო საგამოძიებო მოქმედებები.

ვინ არის მანიაკი, რომელიც არასრულწლოვან გოგონებზე ნადირობს

რატომ თქვა მედპერსონალმა პატიმრისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე უარი

ბათო ჯაფარიძე

ბავშვობაში მიღებული ტრავმები თუ სტრესები, ერთი შეხედვით, უმნიშვნელოდ გვეჩვენება, მაგრამ ყველაფერ ამას იმდენად დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია, რომ მთელი ცხოვრების განმაავლობაში, შესაძლოა, შეუმჩნევლად გაგვყვეს. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, ბავშვებს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შევუქმნათ და ბეწვის ხიდზე არ ვატაროთ. იმ შემთხვევაში კი, თუ ეჭვი გაგვიჩნდება, რომ ესა თუ ის სიტუაცია ბაშვის ფსიქიკაზე არცთუ დადებითად იმოქმედებს, ექიმსა და ბავშვთა ფსიქოლოგს უნდა მივმართოთ. ადრე, ბავშვთა ფსიქოლოგები კი არსებობდნენ, მაგრამ თაობები ისე იზრდებოდნენ, ისინი, უბრალოდ, არ ახსოვდათ. მერე და მერე განვითარდა ბავშვთა ფსიქოლოგია და შეიძლება ითქვას, მოდურიც კი გახდა ბავშვის ფსიქოლოგთან ტარება. ადრე კი...

როდესაც თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში პატიმარი მიიყვანეს, ექიმმა გვარი იკითხა და როცა გაიგო, ექთნებს გადახედა. ყველა ადგილზე გაშეშდა, პატიმარი კი ტკივილისგან იკლაკნებოდა. ამბობდნენ, წყლული გაუსკდა და სისხლი ეწამლებაო. დაახლოებით, 30-წამიანი შოკის შემდეგ, ექიმმა ჩუმად თქვა: „საოპერაციო გაამზადეთ“, თუმცა მომსახურე პერსონალიდან არავინ დაიძრა. ყველაფერ ამას სამართალდამცავებიც მშვიდად უყურებდნენ და საერთოდ არ ცდილობდნენ ექიმის აჩქარებას. ექიმმა იგივე მკაცრად გაიმეორა, მაგრამ ოთხი დამხმარედან საოპერაციოსკენ მხოლოდ ერთი წავიდა, სამმა კი პაციენტისთვის დახმარების გაწევაზე კატეგორიული უარი თქვა. ორსაათიანი ოპერაციის შემდეგ, ოთახიდან გამოსულ ექიმს სამართალდამცავებმა ჩუმად ჰკითხეს – „გადარჩა?“ და დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, თავი უკმაყოფილოდ გადააქნიეს. ჰო, ექიმის ოთხი დამხმარედან სამს შვილები ჰყავდა, ერთი კი გასათხოვარი იყო. სწორედ ის ერთი დაეხმარა ექიმს რთული ოპერაციის ჩატარებაში. ვინ იყო პირი, რომლისთვისაც ოპერაციის ჩატარებაზე თავდაპირველად, ექიმმაც კი შეიკავა თავი, მერე კი, სავარაუდოდ, ჰიპოკრატეს ფიცმა გადასძალა?..

შესაძლოა, ბევრს არ ახსოვს, მაგრამ ადრე, სკოლის მოსწავლე გოგონების ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი ბაფთები იყო. ლამაზი, ჭრელა-ჭრელა ბაფთებით მორთული გოგონების ნახვა, მართლაც, საოცრება გახლდათ. ზოგი, უბრალოდ, ლამაზი ლენტისგან იყო დამზადებული, ზოგსაც შუაში რეზინი ჰქონდა, თმა რომ კარგად დაეჭირა. ბაფთები იყიდებოდა ყველგან, თუმცა დედები, არცთუ იშვიათად, თავად ყიდულობდნენ მატერიას და ულამაზეს ბაფთებს ქმნიდნენ. ახლა ბაფთები თითქმის აღარ გვხვდება.

„80-იანი წლების დასაწყისი იყო ანუ მთელ საბჭოთა კავშირში სიმშვიდე და სიწყნარე სუფევდა. იშვიათად, მძიმე დანაშაული მომხდარიყო და თუ საქმე მძიმე შემთხვევასთან არ გვქონდა ან გრიფით „საიდუმლო“ არ ედო, მთელი საქართველო იგებდა. ეგ კი არა და, სადმე ახალგაზრდა რომ მომკვდარიყო, მაგალითად, ავარიით, მთელი საქართველო გლოვობდა. ახლა სიკვდილს მივეჩვიეთ, გაუფასურდა სიკვდილი, ერთ დღეს 10 ახალგაზრდა რომ გარდაიცვალოს, მეორე დღეს აღარ გვახსოვს და ირგვლივ ხორხოცია. ადრე სოფელი ტელევიზორს არ რთავდა, როცა მიცვალებული იყო... ჰოდა, სწორედ ასეთ დროს, ერთ-ერთი კორპუსის სადარბაზოში შესულმა ქალმა სარდაფის მხრიდან რაღაც ხროტინისმაგვარი გაიგო. მეზობლებს დაუძახა, ჩავიდნენ და 7 წლის გოგონა ნახეს, რომელსაც საკუთარი ბაფთა ყელზე ჰქონდა წაჭერილი, ხელები კი შეკრული და სულს ღაფავდა. საბედნიეროდ, მისი გადარჩენა მოხერხდა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

აზრზე მოსულმა ბავშვმა თქვა, რომ ვიღაც უცნობმა კაცმა მათი კორპუსის წინ მანქანა გააჩერა, სადარბაზოში მდგარ გოგონასთან მივიდა, ბაფთა შეხსნა, ყელზე შემოახვია, სარდაფში შეათრია, ხელ-ფეხზე მავთული შემოახვია და იქვე დააგდო. ბაფთას რეზინი ჰქონდა და ყელზე ნელ-ნელა ეჭირებოდა, გოგონა ვერ იხსნიდა და რადგან ხელ-ფეხი მავთულით (!!!) ჰქონდა შეკრული, ვერც მოძრაობდა. მისი ხმა მეზობლის ქალს რომ არ გაეგო, ტრაგედიას ვერავინ ასცდებოდა. ჰო, გოგონამ ისიც თქვა, კაცი ცოტა ხანს ჩემთან დარჩა და ორივე ხელი ჩემს მუხლებზე ედო.

საბედნიეროდ, გოგონას გაუპატიურების მცდელობის კვალიც არ ეტყობოდა. მას ფანქარი და სახატავი ფურცელი მიუტანეს და გოგონაამ ავტომობილი დახატა – „ბუტკა მოსკვიჩი“.

იმ დროისთვის, დედაქალაქში 200-ზე მეტი ასეთი ავტომობილი იყო. გოგონა ზუსტად ვერ იხსენებდა მანქანის ფერს, ხან თქვა, თეთრი იყოო, ხან – კრემისფერიო, ხან – ცისფერიო... ყველა მფლობელის გადამოწმება დაიწყეს, მაგრამ აქაც სირთულეს შეხვდნენ – ამ ავტომობილების უმრავლესობა საწარმოების ბალანსზე იყო და ასევე, უმრავლესობის უმრავლესობაზე რამდენიმე მძღოლი გახლდათ მიმაგრებული. დაიწყო რუტინული სამუშაო, რათა ეს ადამიანები გაეცხრილათ და საბოლოოდ, ეჭვმიტანილი გამოეკვეთათ.

სანამ ლამის მთელი რესურსი აქეთ იყო მიმართული, მორიგი დანაშაული მოხდა. ამჯერად, ყელზე ბაფთით გოგონა ავტოფარეხებს შორის იპოვეს. საღამო ხანი იყო, დაბინდებული და წესით, 7 წლის ბავშვი იმ დროს გარეთ მარტო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ შემდეგ მშლბლებმა თქვეს, რომ გოგონა პურზე გააგზავნეს, ადრეც გაუგზავნიათ, თუმცა როგორც კი ხუთი წუთით დააგვიანდა, მაშინვე ძებნა დაიწყეს და იმ ადგილზე შემთხვევით მიაგნეს. შემთხვევით იმიტომ, რომ საქმეში მეზობლები რომ არ ჩარეულიყვნენ და ყველაფერს არ მოსდებოდნენ, მხოლოდ მშობლები ვერაფერს გააწყობდნენ. მპოვნელი მეზობელი მამაკაცი იყო, რომელსაც... „ბუტკა მოსკვიჩი“ ჰყავდა.

„ვერცერთ შემთხვევაში, გოგონებმა თავდამსხმელის სახე ვერ დაიმახსოვრეს, რადგან ის მათკენ თავდახრილი, თვალზებზე ქუდჩამოფხატული, პირზე კი აწეული კაშნეთი მიდიოდა. ამიტომ, მეზობელი ვერაფერში დავადანაშაულეთ, მით უმეტეს, ანაბეჭდი არ ეტყობოდა არც მავთულს და არც – ბაფთას. საეჭვო ისევ ის გვეჩვენა, რომ მოძალადეს ამ გოგონას მუხლებზეც, დაახლოებით, 2 წუთის განმავლობაში ედო ხელისგულები“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

რა თქმა უნდა, გოგონას მპოვნელი მეზობელი თავიდან ბოლომდე შეამოწმეს, მაგრამ საეჭვო ვერაფერი ნახეს – ორი შვილის მამა, ერთ-ერთი საწარმოს მომმარაგებელი, სიდედრ-სიმამრთან ერთად ცხოვრობდა და იდეალური ურთიერთობა ჰქონდა. ხანდახან მეზობლებში სიმამრი კი წამოიძახებდა, ზედსიძე მყავს სახლშიო, მაგრამ ეგ არაფერი. გამოძიება სხვა მძღოლების პირადი საქმეების შესწავლით იყო დაკავებული და... ეჭვმიტანილი იპოვა კიდეც. ერთ-ერთ საწარმოში მუშაობდა კაცი, რომელიც ადრე, 11 წლის გოგონაზე ძალადობის მცდელობაში იყო ეჭვმიტანილი და 6 წელიც ჰქონდა მოხდილი. მასზე თვალთვალი დააწესეს და... მაშინ, როცა ორი ოპერმუშაკი მშვიდად უმზერდა, როგორ სადილობდა მთავარი ეჭვმიტანილი მანქანაში ღვეზელით, მორიგი დანაშაული მოხდა – ისევ პატარა გოგონა, ისევ მავთულით შეკრული ხელ-ფეხი, ისევ ყელზე შემოჭერილი ბაფთა და... ისევ მუხლებზე ხელები. აი, ამ უკანასკნელ ქმედებას ვერაფრით ხსნიდნენ ვერც – ექიმები, ვერც – სამართალდამცავები, თუმცა...

„რამდენიმე ექიმს ვესაუბრე, მაგრამ როცა ვერაფერი გავიგე, მერე უკვე პროფილების მიხედვით ჩამოვუარე და ერთ-ერთმა პათანატომმა საინტერესო რამ მითხრა. როცა ადამიანი იგუდება, მუხლების სახსრებში განსაკუთრებული კანკალი იგრძნობა და თუ ამ დროს მუხლებზე ხელს შემოვუჭერთ, ის კანკალი მთელ სხეულში გადავა. გაჩნდა ეჭვი, რომ საქმე მანიაკთან გვქონდა და რაც მთავარია, ის სწორედ იმიტომ არ კლავდა გოგონებს, რომ ეს პროცესი, რაც შეიძლება, დიდხანს გაგრძელებულიყო. სამწუხაროდ, ასეთი ეჭვმიტანილი, უბრალოდ, არ გვყავდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სამაგიეროდ, გაჩნდა იდეა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი, ვისაც მომაკვდავ ადამიანებთან ექნებოდა შეხება. „ბუტკა მოსკვიჩის“ ერთ-ერთი მძღოლის ცოლი მორგში კი მუშაობდა, მაგრამ მორგში გარდაცვლილები მიჰყავდათ და იქ ფეხის კანკალს ვერავინ გაიგებდა. ამ დროს კი მოხდა ისეთი რამ, რასაც არავინ ელოდა. განყოფილებაში ის კაცი მივიდა, ზედსიძეთი უკმაყოფილო რომ იყო და სიძე დაასმინა, მანიაკი ეგ არისო. სამართალდამცავებს თავიდან მოხუცი კაცის ბოღმიან საუბრად მოეჩვენათ ყველაფერი, მაგრამ როცა თქვა, ხანდახან, საღამოობით, საკუთარ შვილს ყელზე ქამარს უჭერს, მერე ნელ-ნელა უშვებს და თან მუხლებზე უდევს ხელიო, დაინტერესდნენ. ამას სიძე იმით ხსნიდა,რომ ბავშვებს გამძლეობას აჩვევდა და თან იმ ზღაპრის გმირივით ეთამაშებოდა, რომელიც წიგნში ამოიკითხა. რა თქმა უნდა, მასზე თვალთვალი დაწესდა.

ზუსტად სამი დღის შემდეგ, სამართალდამცავებმა მამაკაცს მაშინ მიასწრეს, როცა ის გოგონას ხელ-ფეხს უკრავდა. მას ხმა არ ამოუღია, მილიციას ჩაბარდა, თუმცა ნერვიულობის ნიადაგზე, წყლული გაუსკდა. საავადმყოფოში უკვე იცოდნენ, დაკავებული ვინც იყო, ერთ-ერთი გოგონას დეიდა სწორედ იქ მუშაობდა ექთნად და სახელი და გვარიც დისგან გაიგო. ამიტომ იყო, ბადრაგით მიყვანილი პაციეენტი რომ იცნეს და მომსახურებაზე უარი თქვეს.

„მამაჩემმა თავი მოიკლა. როცა ჭაღზე ჩამოეკიდა, მე შინ ვიყავი და შევეცადე, გადამერჩინა. მუხლებით ვიჭერდი, მაგრამ ვერ ავწიე და ის კანკალი ახლაც მახსოვს. არ ვიცი, რატომ, მაგრამ რეალურად მსიამოვნებდა და ამას მაშინ მივხვდი, როცა შინ შვილებს ვეთამაშებოდი. მერე ამოვიკითხე, რომ გოგონებს უფრო მგრძნობიარე მუხლები აქვთ და“... – დაახლოებით, ეს იყო დაკავებულის აღსარება.

იმის მიუხედავად, რომ პროკურორმა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მოითხოვა, რადგან საქმეში მკვლელობა არ იყო, მოსამართლემ დაკავებული დაინდო და 11 წელი აკმარა.

სამი ამორალური მკვლელობა

როგორ ამოწყვიტა მამაკაცმა დის ოჯახი

ბათო ჯაფარიძე

ბოღმა და შური ისეთი რამეა, შესაძლოა, ჩვეულებრივ ადამიანს უსასტიკესი დანაშაული ჩაადენინოს, ისეთი, რომელსაც შემდეგ, საიდუმლო გრიფს დაადებენ და ამას არა მხოლოდ სისასტიკის გამო, არამედ, იმისთვის, ვინმეს სურვილი არ გაუჩნდეს, იგივე გააკეთოს. ჰო, იგივე, ოღონდ უფრო ორგანიზებულად და პროფესიონალურად. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც, საბჭოთა კავშირის დროს დანაშაულები არ ხმაურდებოდა, ისიც იყო, რომ საქმეში მითითებულ შეცდომებზე სხვები სწავლობდნენ და იმ შეცდომებს აღარ უშვებდნენ.

„თბილისის ერთ-ერთ მაღალსართულიან სახლში ლიფტი ჩაწყდა. კაბინაში ახალგაზრდა ქალი იმყოფებოდა და სამწუხაროდ, ადგილზე გარდაიცვალა. რა თქმა უნდა, თავიდან ჩვენ არ გამოგვიძახეს, რადგან ერთი შეხედვით, ეს არ იყო მკვლელობა, მაგრამ როცა ჭერზე ავიდნენ მექანიზმის შესამოწმებლად, იქ ლიფტის ხელოსანი ნახეს გარდაცვლილი, რომელსაც თავი რაღაც ბლაგვი საგნით ჰქონდა გატეხილი. შესაბამისად, საქმეში ჩავერთეთ და ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ამოლარული სისხლის სამართის საქმე, რომელთანაც ოდესმე შეხება მქონია“, -გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გარდაცვლილი ქალის ქმარი საკმაოდ ცნობილი კაცი გახლდათ. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ის თავისი საქმის პროფესიონალი იყო, ნამდვილი მარგალიტი. ამიტომ, ახალი ბინა, აგარაკი, „ვოლგა“ ანუ საბჭოეთის ყველა სიკეთე კანონიერად ჰქონდა. წყვილს ერთი შვილი ჰყავდა, შვიდი წლის ბიჭი, რომელიც რაღაც სასწაულით, ლიფტში არ შევიდა და მამასთან დარჩა. წყვილი ამ დროს მუდმივად სასეირნოდ მიდიოდა და ლიფტშიც ერთად შედიოდა, მაგრამ იმ დღეს, როცა ლიფტში დედა შევიდა, მამამ თქვა, ჩვენ ფეხით ჩაგასწრებთო, ბავშვს ხელი დაავლო და კიბეზე დაეშვა. ამიტომ, პირველ რიგში, ეჭვი სწორედ მამაზე მიიტანეს, მაგრამ ეს ვერსია ექსპერტებმა გამორიცხეს. ლიფტი მუხრუჭებიდან სწორედ ჭერიდან ჩაუშვეს ანუ როცა კაცი კიბეზე ჩარბოდა, ვიღაცამ ჭერზე ხელი შესაბამის ღილაკს დააჭირა. ვერსია, რომ კაცს თანამზრახველი ჰყავდა, ცოტა არარეალურად ჟღერდა და ზოგადად, ეს კაცი არ იყო ის ტიპი, ცოლი მოეკლა. ისინი ერთ-ერთ მოსიყვარულე და იდეალურ წყვილად ითვლებოდნენ, ვერც მეგობრები და ვერც ნათესავები ვერ ამბობდნენ, რომ კაცს ან ქალს, შესაძლოა, სხვასთან რომანი ჰქონოდა.

მომხდარიდან ორი კვირა იყო გასული, როცა კაცი საკუთარი ავტომობილით სამსახურში გაემგზავრა, თუმცა საჭე ვერ დაიმორჩილა და ხეს შეასკდა. საბედნიეროდ, გადარჩა და ადგილზე მისულ მილიციის თანამშრომლებს უთხრა, რომ მუხრუჭებმა უმტყუნა. ექსპერტიზამ ახალი დასკვნა დადო – მუხრუჭის მილები ისე იყო დანით ჩაჭრილი, რომ სადმე უნდა გამსკდარიყო და მუხრუჭებს ემტყუნა. სამართალდამცავებს უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდათ, რომ მასზეც ნადირობა იყო გამოცხადებული, მაგრამ რისთვის?! მისი ადგილის დაკავება სამსახურში იოლი არ იყო, რადგან ასეთი დონის სპეციალისტი თითებზე ჩამოსათვლელი გახლდათ და დანარჩენებიც არანაკლებ კარგ თანამდებობაზე მუშაობდნენ. მამაკაცს სასწრაფო წესით შვებულება ააღებინეს და შინიდან გამოსვლა აუკრძალეს. სამწუხაროდ, ამან ვერ უშველა.

მესამე დღე იყო, რაც კაცს გარეთ გამოსვლა ჰქონდა აკრძალული და ღამით შეტყობინება შემოვიდა – ის საკუთარი აივნიდან გადმოხტა და სასიკვდილოდ დაიმტვრა. ექსპერტმა დაასკვნა – მამაკაცი გვარიანად ნასვამი იყო, შინ, მაგიდაზე არყის ბოთლი, ერთი ჭიქა და ცოლის სურათი იდო, რაც პირდაპირ მიანიშნებდა, რომ გონება დაებინდა და თავი მოიკლა, თუმცა სამართალდამცავები ხვდებოდნენ, რომ ამ საქმეში ვიღაცის ხელი ერია.

„პირველ რიგში, დავრწმუნდი, რომ მკვლელი ოჯახის კარგი ნაცნობი იყო, რადგან მჯეროდა, მამაკაცი გადმოაგდეს. ის კი შინ უცხოს არ შეუშვებდა. სამწუხაროდ, გვიანი იყო და ბავშვს ეძინა ანუ ვერ თქვა, იყო თუ არა ვინმე სტუმრად. ჩვენს ეჭვს ისიც ამყარებდა, რომ კარის სახელური საგულდაგულოდ იყო გაწმენდილი ანუ როცა მკვლელმა კარი გაიხურა, სახელურები გაწმინდა, სხვაგვარად იქ, მინიმუმ, ოჯახის პატრონის ანაბეჭდი უნდა ყოფილიყო. რაც მთავარი, ბავშვი მშობლების გარეშე დარჩა და მასზე ან ნათესავებს, ან სახელმწიფოს უნდა ეზრუნა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ბავშვს უახლოესი ნათესავები – ბებია (მამის დედა) და ბიძა (დედის ძმა) ჰყავდა. ჩვენი ინფორმაციით, გარდაცვლილს ჰყავდა ძმაც, რომელიც დაახლოებით, 10 წლის წინ, სამუშაოდ ციმბირში წავიდა და მისი კვალი დაკარგული იყო. სასამართლოზე ბიძამ ბევრი იომა, თუმცა როცა საქმე ბავშვს ეხებოდა, საბჭოთა სასამართლო უპირატესობას ყოველთვის ქალს ანიჭებდა. ამიტომ, ბიჭი გასაზრდელად ბებიას დაუტოვეს, რომელიც შვილის აგარაკზე ცხოვრობდა. სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, ბინაც ბავშვის სახელზე გაფორმდა და „ვოლგა“, რომელიც დაიმტვრა, გარდაცვლილის თანამშრომლებმა შეაკეთეს და აგარაკზე მიუყვანეს, აქაოდა, გაიზრდება და მამის მანქანით ივლისო. სამართალდამცავები კი მკვლელს ეძებდნენ და ვერ პოულობდნენ. ასე გავიდა ორი თვე, როცა განყოფილებაში შეტყობინება შევიდა – დილით შეშინებული ბავშვი მეზობლებთან გაიქცა და უთხრა, რომ ბებია გარდაცვლილი იყო.

„ექსპერტიზის დასკვნით, ქალი გაიგუდა, თუმცა არაერთი მცდელობის მიუხედავად, ექსპერტმა ვერ თქვა, რომ მოხუცი მოკლეს. როგორც წესი, გაგუდვის დროს, ან ყელზე უნდა იყოს ანაბეჭდი, ან – პირის ღრუში ბალიშის ბუმბულის ნაწილაკები, თუ ბალიშით გუდავენ. ასეთ რამ კი არ აღინიშნებოდა და ამიტომ, ამ გარდაცვალებას მკვლელობის კვალიფიკაცია ვერ მისცეს. შინაგანად დარწმუნებული ვიყავი, რომ მოხუციც მოკლეს და თავში ერთადერთი აზრი მიტრიალებდა – დაკარგული ძმა უნდა მეპოვა, რადგან ერთადერთი, მას ვერ ვამოწმებდი. დედის ძმა კი ცოლთან ერთად ცხოვრობდა და პატიოსნად შრომობდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ბავშვი გასაზრდელად დედის ძმას გადასცეს. სამართალდამცავების გაფრთხილების მიუხედავად, საცხოვრებლად ისიც აგარაკზე გადავიდა და იქიდან სამსახურში, გარდაცვლილი სიძის „ვოლგით“ დადიოდა. ყოველი შემთხვევისთვის, მილიციის თანამშრომლებმა ახლო მეზობლები გააფრთხილეს, რომ თუ რამე საეჭვოს შენიშნავდნენ, მაშინვე დაერეკათ. ასე გავიდა ნახევარ წელზე მეტი.

„ერთადერთი, რაც მიხაროდა, ის იყო, რომ ციმბირში ძმის კვალს მივაგენი და ახლა მხოლოდ თოვლის დადნობას ველოდი, რათა დაედასტურებინათ, რომელიღაც მიყრუებულ სოფელში ნამდვილად ცხოვრობდა თუ არა. თუ უარყოფითი პასუხი იქნებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ძმა საქართველოში ჩამოვიდა, მკვლელობები ჩაიდინა და თუ ვერ დავუმტკიცებდით, ქონებაზე პრეტენზიას განაცხადებდა. აი, თუ სოფელში იქნებოდა, ეს ძაფიც ხელიდან სხლტებოდა, რადგან იმ სოფლიდან, მინიმუმ, თოვლის გამო, 4-5 თვე გასვლა შეუძლებელი იყო ანუ ის მკვლელობას ფიზიკურად ვერ მოახერხებდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სწორედ ამ პერიოდში, განყოფილებაში მეზობლის ქალმა დარეკა და განაცხადა, რომ ბოლო დღეების განმავლობაში, როცა მეზობლების სახლთან გავივლი, ბავშვის არანორმალური ხველება მესმის და მესმის იმიტომ, რომ ოთახში, სადაც ბავშვი წევს, ფანჯარა მუდმივად ღიაა. გარეთ თებერვლის ყინვები იდგა. სამართალდამცავები მაშინვე აგარაკზე გავიდნენ.

„როცა ობოლი ბავშვის ბიძამ დაგვინახა, დაიბნა. ოთახში შევედი და ბავშვს დავხედე. ყოველგვარი ექიმის გარეშე ჩანდა, რომ უმძიმეს დღეში იყო, სახე და თვალები ჩაწითლებული ჰქონდა და ძლივს სუნთქავდა. ჩუმად, ძალიან ჩუმად თქვა, მცივაო და, რა თქმა უნდა, სციოდა, რადგან ღია ფანჯრიან ოთახში იწვა და არაფერი ეფარა. ბავშვი მაშინვე ექიმებს გადავაბარეთ, მაგრამ ზუსტად ვიცოდი, მის ბიძას ვერ დავაკავებდი, სამხილი არ მქონდა, ეჭვს კი საქმეს ვერ მივაკერებდი. ამ დროს ოთახში მისი მეუღლე შემოვიდა, ორსულად იყო, აშკარად ეტყობოდა, დღე-დღეზე იმშობიარებდა. ქმარს გახედა, სკამზე ჩამოჯდა და ჩუმად, თუმცა მკაფიოდ თქვა – დააკავეთ, მკვლელია, მეშინია მასთან მარტო დარჩენა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

შემდეგ ყველაფერი მარტივად აეწყო. ცოლმა თქვა, რომ დაახლოებით, ერთი თვის წინ, ქმარი ძალიან დათვრა და დაიწყო მოყოლა, როგორ შეშურდა საკუთარი დის, როცა ის პერსპექტიულ კაცზე გათხოვდა, მერე, როცა ბინა მიიღო, როცა აგარაკი მისცეს, ხოლო „ვოლგა“ ბოლო წვეთი გახლდათ. ამიტომ გადაწყვიტა დისა და სიძის მოშორება, რათა ბავშვზე მეურვეობა და მათი ქონება დაესაკუთრებინა. შემდეგ ბებია გამოტყვრა და ისიც მოიშორა. ახლა ბავშვის მოკვლასაც აპირებდა, რადგან საკუთარს ელოდა და დისშვილის გაზრდა აღარ სურდა, ძალით გააცია და არ მკურნალობდა. გარკვეული „პროცედურების“ შემდეგ, დაკავებულიც ალაპარაკდა და სამივე მკვლელობის ორგანიზება აღიარა. ისიც თქვა, როგორ ეწვია სიძეს გვიან სტუმრად, როგორ დაალევინა არაყი და როგორ გადმოაგდო ფანჯრიდან. ყველაზე მეტად სამართალდამცავებს ბებიის გაგუდვა აინტერესებდათ, რადგან სამხილი ვერ ნახეს. დაკავებულმა თქვა, რომ ბალიში ცელოფანში ჩადო და ისე გაგუდა, შემდეგ ცელოფანი მოხსნა და თან წაიღო. სწორედ ამიტომ, პირის ღრუსა და ფილტვებში, ქალს ბუმბულის ნაწილაკები არ ჰქონდა.

სასამართლო დახურულ კარს მიღმა ჩატარდა და დაკავებულს სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მიესაჯა. ბავშვი გადარჩა და...

„ბიძა, მამის ძმა ვიპოვე, საბედნიეროდ, გამოჩნდა. ცოლი და 4 შვილი ჰყავდა და რაც მთავარია, არა მარტო იმ მხარეში, არამედ, ლამის მთელ ციმბირში, ერთ-ერთ შეძლებულ კაცად ითვლებოდა. როცა ყველაფერი გაიგო, ლამის თავი მოიკლა, სულ ვაპირებდი ჩამოსვლას, ვერ მოვახერხე, ძველ ნომერზე კი არ ირეკებოდაო. მართალიც იყო, მისმა ძმამ ბინაც შეიცვალა და ტელეფონიც. რაღა თქმა უნდა, ძმის შვილი იშვილა და თან, როგორ? შესაბამის უწყებაში წერილი დატოვა, ბავშვის გარდაცვალების შემთხვევაში, ყველაფერი სახელმწიფოს დარჩენოდა. ამით დაადასტურა, რომ ძმის შვილისგან არაფერი სურდა. მან ბიჭი გაზარდა, სასწავლებელიც დაამთავრებინა და... სამწუხაროდ, დღეს ყველა რუსეთში ცხოვრობს, იქ აქვთ საკმაოდ სოლიდური ბიზნესი“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივით, თადარიგის პოლიციელებზე სპეციალური მოწმობის გაცემა იწყება

შინაგან საქმეთა მინისტრის, ვახტანგ გომელაურის გადაწყვეტილებით, თადარიგის პოლიციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროში ნამსახურობის დამადასტურებელი სპეციალური მოწმობა გადაეცემათ. აღნიშნული ინიციატივის შესახებ, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება მიმდინარე წლის 2 ივლისს გამოიცა.

თადარიგის პოლიციელის მოწმობა სპეციალური დიზაინის პლასტიკური ბარათია, რომელიც სამინისტროს იმ ყოფილ 10 000-მდე თანამშრომელს გადაეცემა, რომელთაც „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, დანიშნული აქვთ სახელმწიფო კომპენსაცია.

შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივის – თადარიგის პოლიციელებზე სპეციალური მოწმობის გაცემის მიზანია, უწყების ყოფილი თანამშრომლების მიერ გაწეული საქმიანობის მნიშვნელობის ხაზგასმა.

თადარიგის პოლიციელის მოწმობის მისაღებად, ყოფილ თანამშრომლებს უკვე შეუძლიათ განცხადებით მიმართონ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ შს სამინისტროდან დათხოვნილ პირს, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, დანიშნული აქვს სახელმწიფო კომპენსაცია.

შავ ზღვაში ნატო-საქართველოს ერთობლივი საზღვაო წვრთნები ჩატარდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვისა და ნატოს საზღვაო შენაერთის ხომალდებმა, შავ ზღვაში, ერთობლივი საზღვაო წვრთნები ჩაატარეს.

სწავლება ნატოს მუდმივმოქმედი მეორე ნაღმსაწინააღმდეგო შენაერთის (SNMCMG2) საპორტო ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა.

ერთობლივ საზღვაო მანევრებში მონაწილეობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სადარაჯო ხომალდი „სოხუმი“ და ნატოს მუდმივმოქმედი მეორე ნაღმსაწინააღმდეგო შენაერთის ხომალდები: ESPS RAYO (ესპანეთი), ROS LT LUPU DINESCU (რუმინეთი), BGS SHKVAL (ბულგარეთი), TCG EDINCIK (თურქეთი) და ITS VIAREGGIO (იტალია).

სწავლება მიზნად ისახავდა საქართველოს და ნატოს საზღვაო ძალების ურთიერთთავსებადობის ამაღლებას და ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა გაძლიერებას.

ნატოს საზღვაო შენაერთის ვიზიტები საქართველოს პორტებში რეგულარულ ხასიათს ატარებს და, შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ერთ-ერთი ხელშესახები შედეგია. 2021 წელს, ნატოს ხომალდები საქართველოს უკვე მეორედ სტუმრობენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ იმერეთსა და ქვემო ქართლში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვადასხვა დროს, იმერეთსა და ქვემო ქართლში, უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, საბრძოლო მასალა ამოიღეს. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დაკავებულია ორი პირი: 1985 წელს დაბადებული მ.ყ. და 1990 წელს დაბადებული ვ.გ.

დანაშაულები 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზესტაფონის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, მ.ყ.-ის ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად, „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 8 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

რაც შეეხება ვ.გ.-ს, იგი ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ალგეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილებისას შეაჩერეს. პოლიციამ, მისი პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი 6 ვაზნით.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

პოლიციამ, მიხეილ სააკაშვილის საქმის გამოძიების ფარგლებში, დანაშაულის დაფარვის ბრალდებით კიდევ ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მიხეილ სააკაშვილის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, კიდევ ორი პირი – 1984 წელს დაბადებული შ.წ. და 1960 წელს დაბადებული ზ.წ. დააკავა.

სამართალდამცველებმა ამავე ბრალდებით – დანაშაულის დაფარვისთვის, მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს, 1958 წელს დაბადებული ე.ც. დააკავეს. საქართველოს პროკურატურამ დაკავებულს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ბრალდება წარუდგინა, რაც მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვას გულისხმობს. დანაშაული 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მსჯავრდებული, უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილის მიერ საქართველოს საზღვრის უკანონო გადაკვეთის, ორგანიზებული ჯგუფის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანისა და მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 344-ე პრიმა მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 375-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს. აქტიურ რეჟიმში ტარდება ყველა შესაბამისი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილის დაკავების საპოლიციო ღონისძიების შესახებ

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, მამუკა ჭელიძემ მიხეილ სააკაშვილის დაკავების საპოლიციო ღონისძებებზე გამართულ ბრიფინგზე განაცხადა:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებთან ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, საქართველოს მესამე პრეზიდენტი, სანდრო გირგვლიანისა და ვალერი გელაშვილის სისხლის სამართლის საქმეებზე სამი ინსტანციის განაჩენით დამნაშავედ ცნობილი და ძებნილი, მიხეილ სააკაშვილი თბილისში დააკავეს.

სამართალდამცავმა უწყებებმა, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაგეგმეს უკრაინის მოქალაქის, ძებნილი მიხეილ სააკაშვილის დაკავების სპეცოპერაცია. საზოგადოებაში დაპირისპირებისა და მოვლენების შესაძლო ესკალაციის თავიდან არიდების მიზნით, ღონისძიება გასაიდუმლოებულ რეჟიმში ჩატარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა მუშაობა, ხოლო მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილის დაკავების ღონისძიებისთვის შერჩეული იქნა ზუსტი და ეფექტური დრო, სამართალდამცველებმა იგი თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე, უსაფრთხოების ზომების მაქსიმალურად დაცვით, ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მიხეილ სააკაშვილის მიერ, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლით დაიწყო. გამოძიების ფარგლებში, აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს ყველა საჭირო საპროცესო და საგამოძიებო ღონისძიება.

აგრეთვე, გამოძიების ფარგლებში, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, დანაშაულის დაფარვის ბრალდებით, ასევე, დაკავებულია საცხოვრებელი ბინის მეპატრონე, 1958 წელს დაბადებული პირი. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს სამი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ცნობილია დამნაშავედ და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით, იგი გადაყვანილია შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში“.

მოლდოვური კლუბის ქართული წარმატების ფორმულა

როცა ტირასპოლის „შერიფი“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა, უდიდეს სენსაციად მოინათლა. მოკრძალებული კლუბი მოლდოვადან, თან დნესტრისპირეთის რეგიონიდან ანუ იქიდან, სადაც დღემდე შეიარაღებული კონფლიქტია, ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვერ უნდა მოხვედრილიყო. როცა ჯგუფის წილისყრა გაიმართა, „შერიფი“ ცოტა არ იყოს, კომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდა. მას მეტოქეებად მადრიდის „რეალი“, მილანის „ინტერი“ და დონეცკის „შახტარი“ ერგო ანუ კლუბები, რომელთა ერთი ფეხბურთელიც კი, მთელი მოლდოვური გუნდი ღირს.

პირველ ტურში, „შერიფმა“ „შახტარს უმასპინძლა და 2:0 მოუგო. ეს კიდევ ერთ სენსაციად მოინათლა და ექსპერტებმა თქვეს, მოლდოვური ზღაპარი მალე დასრულდება, ტირასპოლელებს მეორე ტურში, მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“, „რეალთან“ დაპირისპირება ელოდათ. „შერიფმა“ მაადრიდიდან 3 ქულა წამოიღო, „სამეფო გუნდი“ 2:1 დაამარცხა და 6 ქულით სატურნირო ცხრილს ლიდერობს. მოლდოველებმა არა მარტო საკუთარი ისტორია დაწერეს, არამედ, ყველას დაანახეს, რომ მცირე ბიუჯეტითაც შესაძლებელია დიდი შედეგის მიღწევა. გუნდის თავკაცს, უკრაინელ იური ვერნიდუბს თვეში, დაახლოებით, 20 ათასი ევრო აქვს მაშინ, როცა მისი მოწინააღმდეგე კლუბის თავკაცთა ხელფასი 3, 6 და 9 მილიონი ევროა. საინტერესოა ისიც, რომ როცა „შერიფი“ ტირასპოლში თამაშობს ანუ შეხვედრებს საკუთარ მოედანზე მართავს, საომარი მოქმედებები წყდება და გულშემატკივრებს ფეხბურთით მშვიდად ტკბობის შესაძლებლობა აქვთ. ამიტომ, იქ ჩასვლაზე უარს, უსაფრთხოების მიზეზით, ვერავინ ამბობს და როგორ გგონიათ, ვინ არის ამ მოკრძალებული გუნდის წარმატების მთავარი შემოქმედი? მოლდოვაში არავინ დაობს, რომ გუნდის ასეთ სიმაღლეზე აყვანა ერთადერთი კაცის, ვაჟა თარხნიშვილის დამსახურებაა.

თარხნიშვილმა თამაში გორის „დილაში“ დაიწყო და 1991-98 წლებში, გუნდის რიგებში 211 შეხვედრა ჩაატარა. მერე იყო თბილისის „ლოკომოტივი“, სადაც მან მხოლოდ 14 მატჩში მიიღო მონაწილეობა და „შერიფში“ წავიდა. 1999-2012 წლებში, თარხნიშვილმა ტირასპოლური კლუბის რიგებში 360 მატჩი გამართა (დღემდე კლუბის რეკორდი), გუნდის კაპიტანი იყო და ამპლუით მცველმა, 19 გოლიც გაიტანა. საქართველოს ნაკრებში ვაჟას მხოლოდ 2 შეხვედრა აქვს ჩატარებული. კარიერის დასრულების შემდეგ, გუნდის ლეგენდა არ გაუშვეს და სპორტულ დირექტორად დანიშნეს. ეტაპობრივად, მან „შერიფის“ აწყობა ევროპულ თარგზე დაიწყო და აგერ, შედეგსაც მიაღწია. თან, როგორ შედეგს – „შერიფზე“ უკვე მთელი ევროპა საუბრობს.

„რომ არა თარხნიშვილი, „შერიფი“ მოლდოვას საზღვრებს ვერასდროს გასცდებოდა. მან მოახერხა ის, რომ ფეხბურთელებსაც და გუნდის პერსონალსაც თავდაჯერებულობა შემატა. თარხნიშვილი არ ისვენებს, ის მუდმივად მოგზაურობს არც ისე ძლიერი ქვეყნების ჩემპიონატებში და იქ ეძებს ფეხბურთელებს, რომლებიც „შერიფს“ მოერგებიან, შემდეგ მათ კაპიკებში ყიდულობს. ასე შეკრა მან გუნდი, რომელიც ანგარიშგასაწევი ძალა კი არა, უკვე „რეალის“ მომგებია“, – წერენ თარხნიშვილზე ევროპელები.

ჩვენებური მოლდოვაში ნაამდვილი ლეგენდა და ყველაზე ცნობილი სახეა. იმასაც ამბობენ, თარხნიშვილი პოპულარობაში ქვეყნის პრეზიდენტსაც კი უსწრებსო და... ფეხბურთი აერთიანებს, ფეხბურთი ომსაც აჩერებს... ამას როცა მივხვდებით, ეგებ, ჩვენც გვეშველოს.

სანიოლმა შემადგენლობა დაასახელა

9 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნული ნაკრები, მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მორიგ ტურში, „ბათუმი არენაზე“ საბერძნეთს უმასპინძლებს, 12 ოქტომბერს კი კოსოვოს ესტუმრება. 5 ტურის შემდეგ, ჩვენი ნაკრები 1 ქულით, ცხრილის ბოლო ადგილზეა და მოგებათა გრაფაშიც ნული უწერია. წესითა და რიგით, ნავსი ახლა უნდა გატყდეს და ნაკრების თავკაცმა, ვილი სანიოლმა ოფიციალურ შეხვედრაში პირველი გამარჯვება უნდა იზეიმოს, თუმცა...

„მე ჯადოქარი არ ვარ, ჯოხის ერთი დაქნევით ყველაფერი გამოვასწორო. ნამდვილად არ ვიტყვი, რომ ჩვენი მიზანი დარჩენილი მატჩებიდან ერთის მოგებაა და ამით კმაყოფილები ვიქნებით. მე თუ მკითხავთ, სამივე მატჩში გამარჯვება მინდა, თუმცა უნდა გვესმოდეს, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელები გვყავს, რომლებიც უნდა განვითარდნენ. იგივე მამარდაშვილი, კვარაცხელია, დავითაშვილი... უნდა გვესმოდეს, რომ მათ საერთო მხარდაჭერა სჭირდებათ. მაგალითად, გამოცდილი ჟურნალისტები ვინც ხართ, დღეს როგორც წერთ, ისევე ხომ არ წერდით, როდესაც 20 წლისანი იყავით? ასევე არიან ფეხბურთელებიც, მათაც საჭირო გამოცდილება უნდა მიიღონ და ზედმეტი ტვირთი არ უნდა ავკიდოთ“, – განაცხადა ნაკრების თავკაცმა.

რაც შეეხება საბერძნეთსა და კოსოვოსთან მატჩებს, ვილი სანიოლი შემდეგ ფეხბურთელებს ენდო:

მეკარეები: გიორგი ლორია („ანორთოსისი“, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი („ვალენსია“, ესპანეთი), ლაზარე კუპატაძე („დინამო“ ბათუმი);

მცველები: გურამ კაშია („სლოვანი“, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე („კრაკოვია“, პოლონეთი), დავით ხოჭოლავა („კოპენჰაგენი“, დანია), გურამ გიორბელიძე („დინამო“ დრეზდენი, გერმანია), გრიგოლ ჩაბრაძე („დინამო“, ბათუმი), ირაკლი აზაროვი („დინამო“, ბათუმი), ლუკა ლოჩოშვილი („ვოლფსბერგი“, ავსტრია), ლაშა დვალი („ფერენცვაროში“, უნგრეთი);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა („სლოვანი“, სლოვაკეთი), გიორგი აბურჯანია („ჟილ ვისენტე“, პორტუგალია), საბა ლობჟანიძე („ჰათაისპორი“, თურქეთი), ნიკა კვეკვესკირი („ლეხი“, პოლონეთი), ხვიჩა კვარაცხელია („რუბინი“, რუსეთი), გიორგი ჩაკვეტაძე („გენტი“, ბელგია), ზურიკო დავითაშვილი („არსენალი“, ტულა, რუსეთი), ვაკო გვილია („რაკუვი“, პოლონეთი), ვლადიმერ მამუჩაშვილი („დინამო“ ბათუმი);

თავდამსხმელები: გიორგი წიტაიშვილი („ჩერნომორეცი“, უკრაინა), თორნიკე ოქრიაშვილი („აპოელი“, კვიპროსი), გიორგი მიქაუტაძე („სერენი“, ბელგია), გიორგი ქვილითაია („აპოლონი“, კვიპროსი).

პეტრიაშვილი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში დამარცხდა

სახელოვანი ქართველი ფალავანი, გენო პეტრიაშვილი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, ირანელ ამირ ჰოსეინ ზარესთან დამარცხდა. ეს გენოს მიერ, დიდ ფორუმებზე, ზედიზედ წაგებული მეორე ფინალია, მანამდე ოლიმპიადაზე, ბოლო ორ წამში გაშვებული გამარჯვება იყო. გენო მსოფლიოს სამგზისა და ევროპის ორგზის ჩემპიონიაა, თავის წონაში ფავორიტად ითვლება, მაგრამ...

რატომღაც გვგგონია, რომ ბოლო დროს, მას კონკრეტულად ფინალებში ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევა უჭირს. რატომ და როგორ, ეს ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა უნდა გაარკვიოს. ერთი კარგი რაც არის, ვინც პეტრიაშვილს იცნობს, დაგვეთანხმება, რომ მას არასდროს ჰქონია განდიდების მანია, არასდროს ყოფილა ქედმაღალი და ტიტულების მიუხედავად, ყოველთვის იმ უბრალო ბიჭად რჩებოდა, რომელიც შიდა ქართლში ცხოვრობდა და ამ მიმართულებით მას პრობლემა ნამდვილად არ აქვს. საქმე უფრო სპორტული მხარე უნდა იყოს. პეტრიაშვილი ვარჯიშს რამეს რომ აკლებდეს, ფინალამდე ვერ მივიდოდა და თან ისე მარტივად, როგორც ეს თუნდაც ოლიმპიადაზე და ახლა, ნორვეგიაში გამართულ ჩემპიონატზე გააკეთა. არსებობს ასეთი ტერმინი, ფინალის შიში, მაგრამ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს, წესით, არც ეს უნდა სჭირდეს. დარწმუნებულები ვართ, მომავალში, გენო საქართველოს ჰიმნს არაერთ ტურნირზე ააჟღერებს.

საფეხბურთო სამყარო ანტივაქსერებს უტევს

იმის მიუხედავად, რომ მსოფლიოში კოვიდ-სიტუაცია კვლავ არ იძლევა დამშვიდების შესაძლებლობას, ლამის მთელ ევროპაში, საფეხბურთო მატჩებზე გულშემატკივრების გარკვეულ რაოდენობას მაინც უშვებენ. არიან ქვეყნები, სადაც ეს პრობლემა მთლიანად მოხსნილია და ფანები ტრიბუნებს ავსებენ, თუმცა არც ისაა უცხო, რომ ასეთი შეკრებების შემდეგ, ეპიდვითარება მწვავდება. ჰოდა, ფეხბურთში მოღვაწე ცნობილმა ადამიანებმა ანტივაქსერების საწინააღმდეგო კამპანია დაიწყეს და ერთ-ერთი პირველი, ვინც მათ წინააღმდეგ გაილაშქრა, „ლივერპულის“ გერმანელი თავკაცი, იურგენ კლოპი გახლავთ.

„ლივერპულში“ მომუშავე ადამიანების 99% აცრილია, მათ შორის ფეხბურთელების სრული შემადგენლობა. არ მახსენდება, რომელიმე მოთამაშისთვის ცალკე რამის ახსნა ყოფილიყო საჭირო, ეს მათი გადაწყვეტილება გახლდათ. მე ავიცერი, ხოლო სხვა ადამიანი, რომელიც არ აცრილა, ამბობს, რომ მე მოწოდების უფლება არ მაქვს. ეს ყველაფერი, ნასვამზე საჭის მართვას ჰგავს. აცრა არ გამიკეთებია მხოლოდ იმის გამო, რომ ჩემი თავი დავიცვა. აცრა გავიკეთე იმიტომ, რომ გარშემომყოფებს არ მივაყენო ზიანი“, – ამბობს კლოპი და... მის განცხადებას სოციალურ ქსელებში, ანტივაქსერებმა ისე შეუტიეს, რომ გერმანელი სპეციალისტი იძულებული გახდა, კომენტარები გამოერთო.

ყველაზე მდიდარი ილონ მასკია

ამერიკელი ბიზნესმენი, SpaceX-ისა და Tesla-ს დამფუძნებელი, ილონ მასკი პლანეტის უმდიდრესი ადამიანების რეიტინგში პირველ ადგილზეა. Forbes Real-Time-ის ბოლო მონაცემებით, მან უკან ჩამოიტოვა Amazon-ის ხელმძღვანელი, ჯეფ ბეზოსი. კვირის დასაწყისში, მასკის ქონება 203 მილიარდ დოლარად შეფასდა, დღე-ღამეში კი მისი ქონება 3.8 მილიარდი დოლარით გაიზარდა. ამასთან, მასკი მესამე ადამიანია მსოფლიოში, რომლის ქონებაც 200 მილიარდ დოლარს აჭარბებს. ბეზოსმა, 197.7-მილიარდიანი კაპიტალით, რეიტინგში მეორე ადგილზე ჩაიჩოჩა, ლიდერთა სამეულს კი ფრანგი ბიზნესმენი, Louis Vuitton Moët Hennessy (LVMH)-ის პრეზიდენტი, ბერნარ არნო ასრულებს - 175.7 მილიარდი დოლარით.

აუცრელ მოხელეებს უხელფასობით ემუქრებიან

იტალიელ სახელმწიფო მოხელეებსა და მეწარმეებს ხელფასის გაუცემლობით ემუქრებიან, თუკი ისინი ვაქცინას არ გაიკეთებენ. ასეთი სადამსჯელო ღონისძიება, დაახლოებით, 23 მილიონი ადამიანისთვის გაუშვეს, რომლებიც სახელმწიფო თუ კერძო სისტემებში მუშაობენ. კუთვნილ ანაზრაურებას ისინი მხოლოდ მას შემდეგ მიიღებენ, როდესაც ვაქცინაციის დამადასტურებელ სერთიფიკატს წარადგენენ.

ამ განკარგულებას ხელი უკვე მოაწერა ქვეყნის პრეზიდენტმა, სერჯო მატარელამ. თავდაპირველად, პროექტი აუცრელების სამსახურიდან გათავისუფლებას ითვალისწინებდა, თუ ისინი არ შესაბამის დოკუმენტს, ავადმყოფობის ცნობას, ან ტესტის უარყოფით პასუხს არ წარადგენდნენ. იმუნიზაციიდან გათავისუფლებულებს შეუძლიათ უფასოდ ჩააბარონ ანალიზები, საამისოდ, სახელმწიფომ ბიუჯეტიდან 105 მილიონი ევრო გამოყო.

ხუჭუჭულა

გოდერძი ჩოხელი

ეს ამბავი იმაზე უფრო სევდიანია, ვიდრე მინდოდა გამოსულიყო. საქმე ის გახლავთ, რომ არავინ მოელოდა ამ ამბის ასეთ დასრულებას. იმ სოფელში, სადაც ეს მოხდა, ყველა მოწყენილი დადის. ზედმეტად სევდიანებს, მზერა წამდაუწუმ ზეცისკენ გაურბით; იქნებ, ინებოს მაღალმა ღმერთმა და ხუჭუჭულა დააბრუნოს იქიდან. ამ ამბავში ყველა საკუთარ დანაშაულს გრძნობს, მათ ხომ უსაზღვროდ უყვარდათ ხუჭუჭულა, რომელსაც თავისი სიპატარავის გამო, სიყვარულით, მოლეკულა შეარქვეს, თორემ ნამდვილი სახელი ბერდია ერქვა. ხუჭუჭულა თვითონ შეირქვა და ძალიან სწყინდა, როცა რომელიმე თანასოფლელი დაუძახებდა:

– მოლეკულა, მოდი აქ!

– არა ვარ მოლეკულა! – ბრაზობს ბერდია.

– მოლეკულა ხარ, აბა ვინა ხარ?

– მე ხუჭუჭულა ვარ, მაგარი ბიჭი ვარ.

ეს სახელი იმის მერე შეირქვა ბერდიამ, ერთი წლის წინათ, ბებიამისმა კალთაში რო ჩაისვა და ხუთკუნჭულას ზღაპარი მოუყვა. მაშინ ორი წლისა იყო ბერდია. ბებიას ფართოდგახელილი თვალებით შეჰყურებდა, ოდნავ პირდაღებული, წამწამებს არც კი ამოძრავებდა, რომ ამბის მოყოლის დროს, ბებიისათვის ხელი არ შეეშალა.

– აი, ეგეთი მაგარი ბიჭი იყო ხუთკუნჭულა, – დაამთავრა ზღაპრის მოყოლა ბებიამ.

– მეც ხომ მაგარი ბიჭი ვარ, ბებო?

– მაგარი ხარ, ბებო გენაცვალოს, ჩემო ხუთკუნჭულა ბიჭო.

– მეც ხუჭუჭულა ვარ, ბებო?

– აბა, შენნაირი ბიჭი სხვა ვინ იქნება.

– მეც მოვერევი დევებს?

– მოერევი, მაშ!

ბერდიას სიხარულით გაებადრა სახე და ბებიის კალთიდან ამაყად ჩამობობღდა. ასევე ამაყად გამოვიდა სახლიდან, ბანზე გადმოდგა და სოფელს გადახედა.

– გამარჯვება მოლეკულა! – მიესალმა მეზობელი.

– არა ვარ მოლეკულა!

– გამარჯვება ბერდია! – ახლა უფრო სერიოზულად მიესალმა მეზობელი.

– არა ვარ ბერდია!

– ვა, აბა, მაშ ვინა ხარ?

– ხუჭუჭულა.

– ეგ რაღაა?

– მაგარი ბიჭის სახელია, მეც მაგარი ბიჭი ვარ!

იმ დღის მერე დადის სოფელში ბერდია და ამტკიცებს, რომ ხუჭუჭულა ჰქვია, თუმცა ამაოდ, ყველა მაინც მოლეკულას ეძახის.

ხუჭუჭულა კი ბრაზობს და დარდიანი დაიარება, რომ მოლეკულას ეძახიან. რაღაცით უნდა დააჯეროს ყველა, რომ მაგარი ბიჭია. ირიჟრაჟებს თუ არა, წამოხტება ლოგინიდან, ფეხშიშველა გამოდგება სახლის ბანზე და მორთავს ყვირილს:

– გაიღვიძეთ, ხალხო, გაიღვიძეთ, გათენდა, გათენდა!

– გაჩუმდი, შე მოლეკულა, შენა, დაგვაძინე! – უბრაზდება უფროსი ძმა, ბაჩანა, სახლიდან.

ხუჭუჭულას ძალიან უყვარს ბაჩანა და ჩუმდება მისი ხათრით. გულში კი სწყინს, რომ ბაჩანაც მოლეკულას ეძახის, მაგრამ წყენას არ იმჩნევს, არც საყვედურს ეუბნება ძმას.

– შეგცივდება, ბებო, შეგცივდება, წამო სახლში, გაიღვიძებენ, მა, რას იზამენ, დარდი ნუ გაქვს, – სახლში შეჰყავს ფეხშიშველა ხუჭუჭულა ბებიას.

სახლში კი უკვე ლოგინიდან წამომდგარა ბაჩანა, სკოლაში წასასვლელად ემზადება და გაკვეთილს იმეორებს:

– ჯერ კიდევ ოცდახუთი საუკუნის წინ, ბერძენმა ფილოსოფოსებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ ნივთიერება შედგება უმცირესი, თვალით უხილავი ნაწილაკებისაგან... ნივთიერების უმცირეს ნაწილაკებს მოლეკულები და ატომები უწოდეს.

– მე ხუჭუჭულა ვარ, ხო, ბებო? – იმედით შეაჩერდა ბებიას ხუჭუჭულა.

– ხოო, ბებია გენაცვალოს, მოდი, ფეხებზე ჩაგაცვა.

ხუჭუჭულა კალთაში ჩაუჯდა ბებიას.

ბაჩანამ წიგნები ჩანთაში ჩაალაგა და კარი გაიხურა. ხუჭუჭულას მშობლები კი სამუშაოზე არიან წასულები.

* * *

გუდამაყრის ხეობაში, სადაც ერთ-ერთი მთის ფერდობზე ხუჭუჭულას სოფელია შეფენილი, ყველაფერი წელიწადის გარშემო ბრუნავს. აქაური ამბები ახალი წლიდან ახალ წლამდე დატრიალებულ წრებრუნვაშია ჩართული. ამ ვიწრო ხეობაში დასაბამიდან ბრუნავს წელიწადის ბორბალი და თავის წრებრუნვაში ატრიალებს გუდამაყრელთა ბედ-იღბალს. აქაური დრო, ახალი წლიდან ახალ წლამდე, ერთი დიდი რიტუალია, სადაც ყველა დღეს თავისი საკრალური დანიშნულება აქვს. ქრისტიანულ ადათ-წესებთან ერთად, ძველს, ქვეყნიერებისაგან მივიწყებულ დღესასწაულებსაც ზეიმობენ და მთელი წელიწადი თითქოს ერთი დიდი დღესასწაულია, რომელიც ღმერთის წინაშე, დღემდე ერთგულად სრულდება.

ახალ სახლებთან ერთად, ძველებური, ბანიანი სახლებიცაა შემონახული ხუჭუჭულას სოფელში. ძველებურ სახლებში, საახალწლოდ კერას გააჩაღებენ და ასეთ რიტუალს ასრულებენ:

კერასთან დევს დიდი ხის მორი, რომლის თავსაც ერბოს წაუსმევენ და ცეცხლში შეურთავენ. ოჯახის წევრები ამ მორზე გადასხდებიან და წინ მჯდომარე, ცხენივით შეიხვიხვინებს; თან დაიძახებს:

– ბებერაი მობრძანდება! (ვითომ, ძველი წელი).

– ბებერაი რასა ბრძანებს? – ეკითხებიან.

– ბედსა, ბედნიერობასა,

პურსა, პურიანობასა,

ვაჟსა, ვაჟიანობასა,

წულსა, წულიანობასა,

ოჯახის კარგად ყოფნასა,

ოჯახის ბარაქიანობასა! – პასუხობს მორის თავზე მჯდომარე და თან მორის ცეცხლმოდებულ თავზე ჯოხს ურტყამს, რომ ნაპერწკლები გაყაროს.

ამის მერე, მამაკაცები ხატში მიდიან, რომ იქ შეხვდნენ ახალ წელს და ყველას იმდენი ადლი სანთელი მიაქვს, რამდენი მამაკაციც არის მათ ოჯახში.

ხუჭუჭულას სახელზე ჩამოქნილი სანთელი წელს მესამედ უნდა წაიღოს მამამისმა ხატში ასანთებად. ძალიან მოსწონს ხუჭუჭულას ახალი წელი. განსაკუთრებით კერაში შერთული ხის მორზე ჯდომა უხარია და თვითონაც ურტყამს მორის თავს ჯოხს, რომ ნაპერწკლები გააყრევინოს.

– აქეთ გამოიწი, შე მოლეკულა, ცეცხლში არ ჩაიწვა! – გული ატკინა ბაჩანამ ხუჭუჭულას საახალწლოდ.

ხუჭუჭულამ, რა თქმა უნდა, არ შეიმჩნია წყენა. მას ხომ ძალიან მაგრად უყვარს ბაჩანა.

ხვალ დილით, ხატში წასული მამა კარებს შემოაღებს, ოთახში თოვლს შემოყრის, მერე თვითონაც შინ შემოვა და ყველას თეთრ თოვლს აყრის სახეზე.

– ასე თეთრად დამიბერდით!

– ეგრევ შენა! ეგრევ შენა! – პასუხობენ მას.

ხუჭუჭულასაც აყრის მამა სახეზე თეთრ თოვლს და მასაც ეუბნება: ასე თეთრად დამიბერდი! ხუჭუჭულას ძალიან უკვირს, რატომ ეუბნება მამა დამიბერდიო.

– მე არ დავბერდები! – იძახის იმედიანად.

– რას ამბობ, ბებია გენაცვალოს, ეგ რამ გათქმევინა? – გულში ჩაიკრა ბებიამ და სახიდან მამის მიერ შეყრილი თოვლი მოსწმინდა.

ყველანი სუფრას მიუსხდნენ, სადაც თაფლთან და სხვა ტკბილეულთან ერთად, თავ-თავიანთ სახელზე გამომცხვარი ბედისკვერიც უნდა ჭამონ.

ბედისკვერს ყველას სახელზე აცხობენ და ვისი კვერიც კარგად ამოფუვდება და კარგად გამოცხვება, იმას ბედნიერი წელიწადი ელოდება წინ.

საქონლის სახელობაზეც აცხობენ ბედისკვერს. კვერებს ზემოდან ჯვარი აქვს გამოსახული, რაც ძალიან მოსწონს ხუჭუჭულას, ისე მოსწონს, რომ გულში იხუტებს თავის ბედისკვერს.

– ჭამე, ბებო, ჭამე, აგრემც ბედნიერი დამიბერდები!

– არ დავბერდები, ბებოო! – წყენით შეახსენა ბებიას ხუჭუჭულამ.

* * *

ზარ-ზეიმით ჩაიარა ახალმა წელმა.

ხუჭუჭულას ყველაზე მეტად სოფლის საერთო მხიარულობა მოეწონა. გამოიტანეს სახლებიდან ციგები, მარხილები, თხილამურები და დიდიან-პატარიანად, ყველამ ციგაობა დაიწყო. ბებრები ერთ დიდ მარხილზე დასხდნენ, ხოლო ბებიამ ხუჭუჭულა კალთაში ჩაისვა და ყიჟინ-ყიჟინით გაქანდნენ მთის ფერდობზე.

ხატში მთელი დღე ზარებს რეკავდნენ დასტურ-დეკანოზნი. ისინიც თავის წესზე შეხვდნენ ახალი წლის დადგომას: დილაუთენია არაგვზე ჩავიდნენ, გაყინულ მდინარეში იბანავეს და სიმღერით წამოვიდნენ ხატისკენ:

წმინდის გიორგის კარზედა,

ხე ალვად ამოსულიყო,

თავში დაესხა ყურძენი

საჭმელად ჩამოსულიყო...

სიმღერის ხმა ექოდ აწყდებოდა მთებს და მთებიც იმეორებდნენ ამ სიმღერას. ზეცა მღეროდა საახალწლოდ.

მხიარულობდნენ ხუჭუჭულას თანასოფლელები. ისინი ერთიმეორეს სახეში თოვლს აყრიდნენ და ლოცავდნენ:

– ასე თეთრად დამიბერდი!

– ეგრევ შენა, თეთრად დაგაბეროს უფალმა!

ხუჭუჭულა ხომ სულ თეთრი იყო, იმდენი თოვლი შეაყარეს ზედ.

– ნუ დამიღონეთ ბალღი, – სიცილით საყვედურობდა ბებია და ტანსაცმლიდან თოვლს უფერთხავდა შვილიშვილს.

– არ დავბერდები! – ბრაზობდა ხუჭუჭულა.

სხვა სოფლებიდანაც ისმოდა მხიარულების ხმა. ახალი წელი ღონეს იკრებდა. ყველა ცდილობდა ემხიარულა, რადგან სწამდათ, რომ დღევანდელ დღეს როგორც გაატარებდნენ, მთელი წელიწადი ისეთი ლხინით წავიდოდა მათი ცხოვრება.

და

ლხინით,

სიმღერით ჩამოღამდა გუდამაყარში.

მაღალ მთის წვერზე მთვარეც გადმოდგა და ვარსკვლავებმაც მორთეს ჟიკ-ჟიკი.

* * *

ყველა ოჯახმა უნდა შემოინახოს საახალწლოდ გამომცხვარი ოჯახის ბედისკვერი. ამ ბედისკვერს ძალიან უფრთხილდებიან, მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. წუნკლაობა დღეს, ამ ბედისკვერმა უნდა ამცნოს ოჯახს, როგორ წავა მათი ბედი წლის განმავლობაში.

დადგა წუნკლაობაც.

დაანთეს ჭიაკოკონები.

ხუჭუჭულას მამამ ოჯახის ბედისკვერი საცერში ჩადო, საცერი მხარზე შემოიდგა, წელში მოიხარა და ცეცხლს შემოუარა სამჯერ გარშემო. ისე იყო მოხრილი, თითქოს საცერში ჩადებული პური ძალიან ამძიმებდა; უვლიდა ცეცხლს და თან კიოდა:

– მიშველეთ, მომეშველენით, კეთილმა წელი მომწყვიტა!

ხუჭუჭულამ მამის საშველად გაიწია.

– გამოდი აქეთ, შე მოლეკულა, შენა, ცეცხლში არ ჩავარდე! – საყელოში ხელი ჩაავლო ბაჩანამ და თავისკენ წაითრია.

– გამიშვი, მამას შველა უნდა, – პირველად შეეწინააღმდეგა ბაჩანას ხუჭუჭულა.

მამამ კი სახლისკენ წაიღო საცერში ჩადებული ბედისკვერი, კარებთან დაიჩოქა, საცერი ძირს ჩამოდგა, იქიდან კვერი ამოიღო და სამჯერ შეაგორა სახლში.

ყველანი გულისფანცქალით ადევნებდნენ ამ სცენას თვალ-ყურს, რადგან აქ წყდება ოჯახის წლევანდელი ბედი: თუ სახლში შეგორებული კვერი ისე გაჩერდება, რომ მასზე გამოსახული ჯვარი ზემოთ მოექცევა, მაშინ საშიში არაფერია, მაგრამ თუ კვერი გულაღმა დაეცემა და ჯვარიც ქვეშ მოყვება, რაღაც უბედურება დაატყდება ოჯახს.

სამჯერვე გულაღმა დაეცა ხუჭუჭულას მამის მიერ სახლში შეგორებული ბედისკვერი.

თითქოს მეხი დაეცა ოჯახს.

გამტკნარდნენ,

გაფითრდნენ,

ელდა ეცათ და ხმაამოუღებლივ შეხედეს ერთიმეორეს.

– ნუ გეშინიათ, ნუ, ჩემზედამც გადაიაროს, რაც ავი და ბოროტი გველოდება! – გაამხნევა ოჯახი ხუჭუჭულას ბებიამ და შვილიშვილი გულში ჩაიკრა.

ორი დღის მერე, დედის ტირილმა გამოაღვიძა ხუჭუჭულა.

ოთახი სავსე იყო ხალხით. ყველანი ბებიის ლოგინს ეხვეოდნენ.

ხუჭუჭულა ლოგინიდან წამოდგა. დედამ ხელში აიყვანა და იქით ოთახში გაიყვანა, სადაც დაღვრემილი სახით იჯდა ბაჩანა.

– ბალღს მიხედე! – უთხრა მას დედამ და თვითონ ისევ იმ ოთახში შებრუნდა, სადაც ბებია იყო.

ხუჭუჭულამაც დააპირა ისევ იმ ოთახში დაბრუნება.

– მოდი აქ, შე მოლეკულა, შენა! – ისე ბრაზიანად უთხრა ბაჩანამ, ხუჭუჭულა შეცბა, წყენით შეანათა ჭრელი თვალები ძმას.

– ბებოსთან მინდა.

– ბებო აღარ არის.

– ჰო, მაშ, იქ არის, წეღან დავინახე. ლოგინზე წევს.

– მოდი, მოდი, ლოგინში ჩაწექი და ხმა არ ამოიღო, – ძალით ჩააწვინა საწოლში ბაჩანამ ხუჭუჭულა.

გვერდითა ოთახიდან ტირილი ისმოდა.

უნდოდა იქ გასვლა ხუჭუჭულას, მაგრამ ბაჩანა არ უშვებდა.

– ვერ გაიგე? ხომ გითხარი, ბებო აღარ არის-მეთქი! – თითქმის ყვირილით უთხრა ძმამ.

ხუჭუჭულამ კი მართლა ვერ გაიგო. მან ხომ სულ ახლახან დაინახა ლოგინზე გულაღმა მწოლარე ბებო. ბაჩანა კი ატყუებს, ბებო აღარ არისო.

„ტყუილი ცუდია“...

„ტყუილი ცუდ ბიჭებს უყვართ“...

„კარგი ბიჭები არ იტყუებიან“... – თითქოს ყურში ესმის ხუჭუჭულას ბებიის ნათქვამი და თავისთვის გულში იმეორებს:

„ბაჩანა ცუდი ბიჭი არ არის“...

„ბაჩანა კარგი ბიჭია“...

„ბაჩანა ჩემი ძმაა“...

და ამ ფიქრებში გართულს, ისევ ძილმა წაართვა თავი.

დასასრული მე-16 გვერდზე

გოდერძი ჩოხელი

მე-15 გვერდიდან

* * *

ყველაზე დიდი ელდა ის იყო, როცა ბებია სახლიდან წაიღეს, ამოთხრილ მიწაში ჩადეს და ზემოდან მიწა მიაყარეს.

– ბებო! ბებო! – იყვირა ხუჭუჭულამ და საფლავისაკენ გაიწია.

– გამოდი აქეთ, შე მოლეკულა, შენა! – ისევ საყელოთი დაითრია ბაჩანამ.

მთელი მიწა ბებიას მიაყარეს, თვითონ არაყი დალიეს და ყველანი სახლში წამოვიდნენ.

– ბებო? – იკითხა ხუჭუჭულამ.

– წამო, წამო, ბებო აქ უნდა იყვეს, – უთხრა ბაჩანამ და საყელოში წაავლო ხელი.

სახლიდან კი ისევ ბებიის საფლავზე გაიქცა ხუჭუჭულა, ფრთხილად მიუახლოვდა ამობურცულ მიწას და ჩუმად ჩასძახა: ბებო! ბებო! – ბებიამ ხმა არ გასცა.

ხუჭუჭულა იქვე ჩამოჯდა.

ბაჩანამ მოირბინა და ისევ სახლისაკენ წაათრია ხუჭუჭულა.

ასე გაგრძელდა რამოდენიმე დღე. დილაადრიან წამოხტებოდა ხუჭუჭულა და ბებიის საფლავისაკენ გარბოდა. მივიდოდა, დადგებოდა და შეჰყურებდა ამობურცულ მიწას.

მოვიდოდა ბაჩანა და სახლში წაათრევდა:

– წამო სახლში, შე მოლეკულა, შენა!

სახლიდან კი ისევ საფლავისაკენ გარბოდა ხუჭუჭულა და რომ ვერაფერი მოუხერხეს, მამამ თქვა:

– გვიან ღამემდე აცადეთ იქ ყოფნა; შეეშინდება და აღარ წავა.

იმ დღეს მთელი დღე უჭმელმა დააღამა საფლავთან.

მზე ჩაიწვერა.

ჩამობინდდა.

ხუჭუჭულა სახლში წასვლას არ აპირებს. ეცოდება, რომ ბებო ღამეში მარტო უნდა იყოს.

ვარსკვლავები ამოიშალნენ ცაზე.

ყინვამ მოუჭირა. მთლიანად ააკანკალა ხუჭუჭულას.

მაინც არ მიდის, ბებოს ყარაულობს, და უცებ:

– წადი, ბებო, სახლში, წადი! – მოესმა საფლავიდან ხუჭუჭულას ბებიის ხმა.

– ბებო!

– ჰო, ჩემო ხუთკუნჭულა ბიჭო, მე ვარ. წადი სახლში, მე აქ არა ვარ, ბებო, ნუ მყარაულობ. შენ თუ სახლში არ წახვალ, მე საიქიოს ვერ წავალ. წადი, ბებო გენაცვალოს, წადი! მადლობელი ვარ, ეგეთი კარგი ბიჭი რო ხარ. წადი სახლში.

ხუჭუჭულა სახლისკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა, ოთახის კარი ფრთხილად შეაღო და სიცივისაგან გათოშილი ცეცხლს მიეფიცხა.

მამამ, დედამ და ბაჩანამ ღიმილით გადახედეს ერთიმეორეს. ალბათ იფიქრეს, რომ ხუჭუჭულა შიშმა მოიყვანა სახლში.

* * *

დიდმარხვა მოახლოვდა. დადგა ყველიერის კვირა. მთელი სოფელი ამ კვირას ყველის ჭამას ეშურება. აცხობენ ხაბისგინებს, ხარშავენ ყველის ხინკალს და რომელ ოჯახშიც არ უნდა მიხვიდე, ყველგან ნაირ-ნაირი ყველით გიმასპინძლდებიან. მთაში დიდ პატივს სცემენ ყველს, იგი ერთ-ერთ უპირველეს საჭმელად ითვლება აქაურთათვის და რაკი დიდმარხვაში ყველის ჭამა არ შეიძლება, ამ ერთი კვირის განმავლობაში, წინასწარ იკლავენ წადილს.

უხარია ხუჭუჭულას, ამდენ ყველსა და ერბოს რომ აჭმევენ. წელს პირველად დააცვევინეს მას შობის მარხვა და ვერაფრით ვერ გაიგო, რატომ უმალავდა მისი საყვარელი ბებია ყველსა და ერბოს.

– ბებო, ყველი მინდა, ყველი! – ითხოვდა ხუჭუჭულა.

– მარხვაა, ბებო, მარხვა, – გული უდნებოდა მკერდში ბებიას.

– მარხვა რა არის?

– ღმერთის დღეებია, ბებო გენაცვალოს.

– ღმერთის დღეებში, ყველისა და ერბოს ჭამა არ შეიძლება, ბებო?

– არა, არ შეიძლება.

– არც კვერცხის? – ახლა კვერცხი მოუნდა ხუჭუჭულას.

– არც კვერცხის, ბებო.

– და არც რძის დალევა არ შეიძლება, ბებო?

– არც რძისა.

– ჩიჩია, ბებო?

– არც ჩიჩია, ბებო გენაცვალოს! – უფრო და უფრო უდნება პატარა ბიჭის საცოდაობით მოხუცს მკერდში ცხოვრებისაგან ისედაც დალეული გული.

– როცა ჭამა შეიძლება, მაშინ ღმერთის დღეები არ არის, ბებო?

– მაშინაც ღმერთის დღეებია, ოღონდ სამხიარულო დღეები.

– ყველა დღე ღმერთის დღეა?

– ხო, ბებო, ყველა დღე ღმერთის დღეა, დაილოცოს იმის სამართალი.

– ჩვენც ღმერთმა გაგვაჩინა.

– მაშ!

– ხან ჭამეთ და ხან არ ჭამოთო? – ისე კითხულობს ხუჭუჭულა, ეტყობა, შია.

ბებიამ სკივრში გადანახული კაკალი ამოუღო და უბე გაუვსო.

სიხარულით ცას ეწია ხუჭუჭულა.

– კაკალი სულმუდამ ჭამეთო, ბებო? – სიხარულჩამდგარი თვალები შეანათა ბებიას.

– ჰო, გენაცვალოს ბებო, ჩემო ხუთკუნჭულა ბიჭო! – ხმაშიც და გულშიც სითბო ჩაუდგა ბებოს.

კაკლით, ჩირით, თხილით და სხვადასხვა სასუსნავით გაასრულა ხუჭუჭულამ თავისი პირველი მარხულობა.

მერე სამხიარულო დღეებიც დადგა.

მერე ბებია გარდაიცვალა, ისევ მწუხარება ჩამოდგა.

ახლა ყველიერია, მხიარულობს სოფელი და ხუჭუჭულასაც უხარია ამდენი ყველის ხინკალი და ხაბიზგინები.

ჩათავდა ყველიერი და დადგა შურის კვირა. ახლა ხორცის ჭამას ეშურება მთელი სოფელი. ყველის ხინკლები ხორცისამ შეცვალა.

ხუთშაბათს დათვქადაობაა. ცხრაქერქა ქადებს აცხობენ. მიდიან ხატში.

პარასკევს ჟამთ უქმეა, ხელს არავინ არაფრისთვის არ გაანძრევს. ეს მძიმე უქმეა.

შაბათი ხორცის შაბათია, ხორცის ხინკალს ხარშავენ და მიცვალებულებს შენდობას ეუბნებიან.

– ბებოს იქ მიუვა ეს ხინკლები, დედიკო? – ეკითხება დედას ხუჭუჭულა.

– ხო, შვილო, ეს ტაბლა საიქიოს ბებოს წინ დაიდგმება, – პასუხობს დედა.

– აქედან რომ არ მიფრინავს?

– იქ ასეთივე ტაბლას გააჩენს ღმერთი.

– იქაც იქნება და აქაც იქნება?! – გაკვირვებულია ხუჭუჭულა.

– ჭამე, ჭამე, რამდენ ხინკალსაც შეჭამ, ბებო იქ დაინახავს თავის ტაბლაზე და გაუხარდება.

ხუჭუჭულამ იმდენი ჭამა, ტიკივით გამოებერა მუცელი.

გათენდა კვირა – აბრამძოლობა.

ამ დღეს უკანასკნელად სჭამენ ხორცს.

გამოხრულ ძვლებს წითელი ძაფით შეკრავენ, გარეთ გამოვლენ, ძვლებს ძველებურ, მაღალ ბანზე შეაგდებენ და მანამ ძვლები ბანზე დაეცემა, შემგდები სამჯერ უნდა შეხტეს ჰაერში. თან ზემოთ ბანზე მყოფ ვიღაც უჩინარს შესძახიან:

– აბრამძოლ, ველის ნადირო, წელს ამას დაგვჯერდი, კვლავ სხვას მოგართმევთ!

ხუჭუჭულა ცდილობს ბანზე ძვლის შეგდებას, მაგრამ ვერ ახერხებს. შეაგდებს ჰაერში, მაგრამ ძვალი ისევ მას ხვდება თავში.

– მოიტა აქ, მოლეკულა შენა! – გამოართვა ძვალი ბაჩანამ და მაღალ ბანზე შეაგდო.

მაღალ ბანზე ასვლა უჭირთ პატარა ბიჭებს, რადგან იქ ასასვლელი ქვის საფეხურები ისეა კედელში ჩატანებული, რომ ბალღები ადვილად ვერ ავიდნენ, რადგან ბანი მაღალია და თუ პატარები შეძლებენ იქ ასვლას, შეიძლება გადმოვარდნენ. უფროსებიც იშვიათად ადიან იქ, ან თოვლის გადმოსახვეტად, ანდა წვიმაში, მიწის გასაზეპად. თოვლის ხვეტის დროს, კიდევ ნახულობენ აბრამძოლობა დღეს შეყრილ ძვლებს, რომელთა წაღებაც ჯერ კიდევ ვერ მოუსწრიათ ყვავ-ყორნებს. თუმცა ამათ კი სჯერათ, რომ „აბრამძოლ ველის ნადირს“ სწირავენ ძვლებს და ათასნაირ ამბებს ჰყვებიან ამის შესახებ პატარა ბიჭები, რომლებმაც აბრამძოლობის მეორე დღეს, დილაუთენია, სანამ სოფელი გაიღვიძებს, ბანზე ასვლა უნდა მოახერხონ და იქედან უნდა ჩამოიტანონ გამოუხრავი ცხვრის ბეჭი, რომელსაც იმიტომ შეაგდებენ ხოლმე ბანზე, რათა მერე წილი ჰყარონ და რომელ ბიჭსაც ერგება, ის უნდა გამოსცადონ გულადობაში. მან დილით, ბანიდან ჩამოტანილი, გამოუხრავი ბეჭი უნდა დაახვედროს სოფელს.

აქედან იწყება მარხვა.

ბეჭი კი ისევ იმ ბიჭმა უნდა შეაგდოს ბანზე. მან უკვე კაცობაში შედგა ფეხი. გულადია, სოფელს შეუძლია მისი იმედი ჰქონდეს, თუმცა ჯერ კიდევ პატარა ბიჭებისთვის ძალიან ძნელია ამ იმედის მოპოვება; უნდა გაიღვიძო დილაუთენია, როგორმე უნდა ახვიდე მაღალ ბანზე, რომელზეც ჯერ ვერაფრით ვერ ასულხარ და იქ რომ „აბრამძოლ ძვლების შემწირველი“ დაგხვდეს?

მერე, რას არ ჰყვებიან „გულადი“ ბიჭები – რო ავედი, ვხედავ, დიდი გველები წვანან ბანზე, ტანზე ბალანი ასხიათ და ბეჭისაკენ გზას მიღობავენ. მე ბეჭისაკენ მივდივარ, ისინი კი მიყურებენ და სისინებენ. პირჯვარი გადავიწერე და ქრისტე ღმერთს ვთხოვე, შემეწიე მეთქი; გველებმა დაისისინეს, ფრთები გაშალეს და გაფრინდნენ. მე ბეჭი ავიღე და ჩამოვიტანე! – აი, ასეთ გაუგონარ ამბებს ჰყვებიან ბანიდან ბეჭის ჩამომტანი „გულადი“ ბიჭები.

წელსაც შეაგდეს ბეჭი.

ყარეს წილი

და – ხუჭუჭულას ძმას, ბაჩანას ერგო ის.

გაფითრდა ბაჩანა, სახლში გაიქცა, შიშის ბურთი გაეჩხირა გულიდან ყელამდე.

დაღამდა.

ბაჩანა ლოგინზე პირქვე წევს და ჩუმად ტირის.

– რა მოგივიდა, კაცი არა ხარ? – უბრაზდება მამა.

– ნუ უტევ, ხო ხედავ ბალღია, ყველას კი არ შეუძლია, – იცავს ბაჩანას დედა.

– ეხლა თუ მაიჭრა სოფელში თავი, სამარემდე გაჰყვება ეგ სირცხვილი, – იძახის მამა.

– იქნებ, შენ ახვიდე დილაადრიან და ჩამოუტანო, – სთხოვა დედამ.

– როგორ? მე ჩამოვუტანო თავისი კაცობა?! მერე თვითონ არ შერცხვება? მერე თვითონ ქურდულად ატარებს თავის ნამუსს? არც კი გესმის, რას ამბობ! ადგება ხვალ დილაუთენია და ჩამოიტანს იმ ბეჭს, მორჩა და გათავდა! – ბრძანებით თქვა მამამ.

უფრო მწარედ აქვითინდა ბაჩანა. დედამ მისი დაწყნარება სცადა, მაგრამ მამა გაუბრაზდა:

– შეეშვი, ქალი ხომ არ არის, რომ მოფერება აწყნარებდეს?

ღამე თანდათან დაშავდა და ჩაღრმავდა.

ძილმა მოიცვა სოფელი.

ხანდახან მგელი წამოიყმუვლებდა გაღმა ტყეში და ისედაც სევდიან ზამთრის ღამეს, უფრო სევდიანს ხდიდა.

ოხრავდა ბაჩანა და არც ხუჭუჭულას ეძინა.

დედასაც ჩაეძინა,

მამასაც...

მარტო ხუჭუჭულა არ იძინებს, ისე ეჭიდავება ღამეს, როგორც ხუთკუნჭულა ეჭიდებოდა დევებს ზღაპარში.

დროდადრო, მგლის ყმუილი და ძაღლების შეშინებული ყეფა აკრთობს ხეობაში ჩამოწოლილ ღამეს.

როგორც იქნა, იყივლა მამალმა.

ჯერ ერთი ყიოდა, მერე იმას სხვებიც აჰყვნენ. ფანჯარაში ოდნავ გაფერკმთალდა ღამე.

ბაჩანას სძინავს.

დედასაც,

მამასაც...

თენდება. ფანჯრებიდან სახლში შემომზირალი ღამე სადღაც მოეპარება ჩუმად.

წამოდგა ხუჭუჭულა.

ჩაიცვა.

ფრთხილად გააღო კარი და გარეთ გავიდა. ვერავინ გაიგო მისი გარეთ გამოსვლა. იმ ბანისაკენ წავიდა, სადაც ცხვრის ბეჭი შეაგდეს და ბაჩანას ერგო მისი ჩამოტანა.

რიჟრაჟია. ხუჭუჭულა მაღალი ბანის ქვის საფეხურებზე ასვლას ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებს.

ძალიან წვალობს,

თან ისე ცდილობს, ისე უნდა ბანზე ასვლა, ეტყობა, ამ დიდი სურვილით ანთებულს ეძლევა ძალა და ისიც ქვის საფეხურებზე მიბობღავს, ზემოთ მიიწევს და ბანზე ადის.

დათოვლილ ბანზე, აქა-იქ მიმობნეულ ძვლებს შორის, უშველებელი შავი ყორანი ზის და ხორციან ცხვრის ბეჭს კორტნის.

– ქში! – აუქშია ხუჭუჭულამ.

– ყრრრაააა! – ჩუმად დაიყრანტალა ყორანმა.

ხუჭუჭულამ ფეხსაცმელი გაიხადა, ყორანს ესროლა და ისევ აუქშია.

– ქში!

ყორანმა ფრთები აიქნია, მაგრამ არ აფრინდა. ახლა მეორე ფეხსაცმელი ესროლა ხუჭუჭულამ, მაგრამ ვერ მიუწვდინა ყორნამდე.

– ყრორ! – დაიყრანტალა ყორანმა და როცა ხუჭუჭულა ფეხსაცმლის ასაღებად დაიხარა, ზურგზე დააცხრა, ტანსაცმელში ბრჭყალები გამოსდო, აიქნია ფრთები, აატყლაშუნა, ჰაერში აიწია და ფარტენასავით მსუბუქად აიტაცა ხუჭუჭულა, რომელსაც ფეხსაცმელი ხელში ეჭირა და უცებ ვერც კი მიხვდა, რომ ჰაერში მიფრინავდა, სანამ მაღლიდან არ ჩამოხედა სოფელს.

ყვირილი მორთო ხუჭუჭულამ.

ყორნის ყრანტალმა და ხუჭუჭულას ყვირილმა გამოაღვიძა სოფელი.

– ბებოო! ბებოო! მიშველე, ბებოო! – ყვიროდა მაღლიდან ხუჭუჭულა. ეტყობა ან ბებიის საფლავს ხედავდა ზემოდან, ანდა სულაც აღარ ახსოვდა, რომ ბებია აღარ ჰყავდა. ამაოდ გამოიტანეს სახლებიდან თოფები. სროლა არ შეიძლებოდა.

ყორანი ჭიუხებისკენ გაფრინდა და მთელი სოფელი შეძახილებით გაჰყვა თან.

მალედვე მიეფარა ყორანი მთას. ისეთი პატარა და მსუბუქი იყო ხუჭუჭულა, ოდნავადაც არ უჭირდა ყორანს ფრენა.

ამაოდ გაჰყვირიან მთებს ხუჭუჭულას ძებნით დაღლილი სოფლელები:

– ხუჭუჭულაა! ხუჭუჭულაა! – იქნებ, საიდანღაც გამოეხმაუროს ხუჭუჭულა, რომ მიეშველონ.

– მოლეკულაა! მოლეკულაა! – ტირილით გასძახა ბაჩანამ.

– ხმა ჩაიკმინდე! – შეუტია მამამ.

ბაჩანა გაჩუმდა.

– ხუჭუჭულაა! – იმეორებენ მთები და ექო მთელ კავკასიონს გადაეცემა.

კავკასიონი კი დგას.

დგას ამაყად ამოზიდული და შორს მომზირალი. იგი ვერ ხედავს, როგორ ცდილობს მის გულ-მკერდზე უშველებელი შავი ყორანი პატარა ბიჭის დაკორტნას.

– ქში! ქში! – ყინულის გრძელი ლოლუებით იგერიებს ბიჭი ყორანს.

კავკასიონი ამას ვერ ხედავს, რადგან ბიჭი ძალიან პატარაა და შეუმჩნეველი. ისეთივე პატარა ამ მთებს შორის, როგორც მოლეკულა სამყაროში.

მარტო კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანი ხედავს ყორანთან მოჩხუბარ ხუჭუჭულას.

ბორგავს ამირანი, ჯაჭვების გაწყვეტას ცდილობს, მაგრამ ამაოა მისი მცდელობა.

თანდათან ღონე ელევა ხუჭუჭულას.

საზარლად ყრანტალებს ყორანი.

არ ჩანს მშველელი.

ბორგავს ამირანი

და –

საიქიოში, ხუჭუჭულას ბებიის სული მაღალ ღმერთს ევედრება, რომ აუშვას ამირანი, რათა დროზე მიეშველოს მის საყვარელ, პატარა ხუჭუჭულას.

ანჯელინა ახალ რომანში „ამხილეს“

ანჯელინა ჯოლის რომანი აქვს ცნობილ მომღერალთან, რომელიც მასზე 15 წლით უმცროსია - მსგავსი სათაურებით დასავლური ტაბლოიდები აჭრელდნენ. ერთ-ერთი მათგანის, Daily Mail-ის ცნობით, პოპულარული მსახიობი სანტა-მონიკაში, რესტორანში დააფიქსირეს მომღერალ The Weeknd-თან ერთად (მისი ნამდვილი სახელია ეიბელ ტესფაიე). იქვე აღნიშნავენ, რომ ჯოლი პირველად არ შეუნიშნავთ ამ ჰოლივუდელ შემსრულებელთან - ისინი რამდენჯერმე ნახეს ერთად, არაფორმალურ ვითარებაში. ამერიკული პრესა არ ცხრება და სათაური სათაურს მოსდევს, 46 წლის ანჯელინასა და 31 წლის, The Weeknd-ის შესაძლო რომანის შესახებ. თავად მსახიობი და მომღერალი კი ამ ფაქტს არ ადასტურებენ. ანჯელინა ჯოლი, ბრედ პიტს 2016 წელს დაშორდა, ოფიციალურად კი მხოლოდ 2019 წელს განქორწინდნენ.

ბრაზილიის პრეზიდენტი პიცერიაში არ შეუშვეს

ბრაზილიის პრეზიდენტი, ჟაირ ბოლსონარუ, აუცრელობის გამო, ნიუ-იორკში, პიცერიაში არ შეუშვეს. ამის გამო, ქვეყნის მეთაურს ჭამა ქუჩაში მოუწია. აღსანიშნავია, რომ ბოლსონარუ საჯაროდ უარყოფდა კორონავირუსის საფრთხეს, მიუხედევად იმისა, რომ გასული წლის ზაფხულში, თავადაც დაინფიცირდა და გადაიტანა კოვიდი. ყველაფერ ამის მიუხედავად, ის მაინც უარს აცხადებს ვაქცინაციაზე. ბრაზილიის პრეზიდენტი ნიუ-იორკში, გაეროს გენერალურ ასამბლეაში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა. მეგაპოლისის მერმა ბოლსონარუს პირადად სთხოვა ვაქცინაცია, თუმცა მან ამჯერადაც უარი განაცხადა.

ყოველწლიური ვაქცინაცია ვირუსის წინააღმდეგ

კაცობრიობას შეუძლია, დაუბრუნდეს ნორმალურ ცხოვრებას პანდემიის შემდეგ, მაგრამ ამისთვის კორონავირუსის წინააღმდეგ რეგულარული ვაქცინაცია იქნება საჭირო - მიაჩნია ალბერტ ბურლას, ამერიკული კომპანია Pfizer-ის გენერალურ დირექტორს. „გაჩნდება ახალ-ახალი შტამები, იქნება ვაქცინაც, რომლის ეფექტი, სულ მცირე, ერთი წლით შენარჩუნდება. ყველაზე სავარაუდო სცენარი კი ყოველწლიური ვაქცინაციაა“, - აცხადებს ბურლა.

ცოტა ხნის წინ, აშშ-ში ნება დართეს დამატებითი, მესამე ვაქცინის - ე.წ. ბუსტერის გაკეთებას იმ ადამიანებისთვის, რომელთა პროფესიული საქმიანობაც დაინფიცირების რისკს უკავშირდება. Amnesty International-ის მონაცემებით, რომელიც ერთი კვირის წინ გამოქვეყნდა, მსოფლიოს წამყვანი კომპანიები, რომლებიც კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინას აწარმოებენ, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, უპრეცედენტო კრიზისს პროვოცირებენ. ისინი არ ამხელენ წარმოების ტექნოლოგიას და მათი პრიორიტეტი არ არის ღარიბი ქვეყნები ვაქცინაციის დაბალი დონით. ამასთან, მხოლოდ Pfizer-ის, BioNTech-ისა და Moderna-ს ფარმაკოლოგიური კომპანიები ვაქცინებზე, 2022 წლის ბოლომდე, 130 მილიარდი დოლარის მოგებას გეგმავენ.

მერკელის პორტრეტით მონეტა მოჭრეს

გერმანიაში ოქროს მონეტების გაყიდვა დაიწყო, რომელზეც ქვეყნის კანცლერი, ანგელა მერკელია გამოსახული. ასეთი სუვენირის შეკვეთა მსურველს ონლაინ-მაღაზიაში, 49 ევროდ შეუძლია. მონეტაზე მითითებულია კანცლერის მმართველობის წლებიც - 2005-2021. უფრო ადრე კი, ქალაქ კობურგში მდებარე რბილი სათამაშოების ფაბრიკამ, ანგელა მერკელის კანცლერის პოსტიდან წასვლის აღსანიშნავად, ფუმფულა დათუნია გამოუშვა. ეს საკოლექციო დათვი საკმაოდ ძვირადღირებულია, მისი ფასი 189 ევროა.

დეპრესიის დიაგნოზს სმარტფონი დაგისვამთ

IPhone-ს მწარმოებელი კომპანია Apple გეგმავს, შექმნას ტექნოლოგია, რომელიც მომხმარებლებში დეპრესიასა და ფსიქოლოგიურ პრობლემებს აღმოაჩენს. კომპანია ამ საკითხზე კალიფორნიის უნივერსიტეტთან და ფარმაცევტულ ფირმასთან - Biogen თანამშრომლობს. ახალი პროექტის კვლევის ფარგლებში, რომელიც შარშან დაიწყო, კომპანიის სპეციალისტებმა, IPhone-სა და Apple Watch-ის დახმარებით, 150 მოხალისის შესახებ შეაგროვეს მონაცემები. წლის ბოლომდე, კვლევაში კიდევ 3000 ადამიანის ჩართვა იგეგმება.

სილამაზის სალონი მომხმარებელს კომპენსაციას გადაუხდის

ინდური სასამართლოს გადაწყვეტილებით, სილამაზის ერთ-ერთ სალონს 20 მილიონი რუპიის (271 ათასი დოლარი) გადახდა მოუწევს უკმაყოფილო მომხმარებლისთვის, რომელსაც თმა ისე არ შეჭრეს, როგორც თავად სურდა. კლიენტი ამტკიცებს, რომ მისი მითითების მიუხედავად, პარიკმახერმა მას თმა მოკლედ - მხრებიდან 10 სანტიმეტრამდე შეჭრა. სასამართლოზე ქალმა განაცხადა, რომ გრძელი თმის გამო, მასთან თმის პროდუქციის კომპანიები თანამშრომლობდნენ. სტილისტის დაუდევროს შემდეგ კი მას ამის შესაძლებლობა აღარ აქვს, რამაც დიდი ზიანი მიაყენა. სილამაზის სალონს კომენსაციის გადახდა არ სურს და აპირებს, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს.

ბოსტანი მანქანის სახურავზე

ტაილანდში, ტაქსის ორი კომპანიის თანამშრომლებმა, საკუთარი ავტომობილების სახურავებზე ბოსტნები გააშენეს. ადგილობრივი გამოცემის ინფორმაციით, მძღოლებმა საამისოდ ბამბუკის ჯოხები და პოლიეთილენის ცელოფნები გამოიყენეს. ამგვარად, მძღოლებმა საკუთარ ეკონომიკურ პრობლემებს გაუსვეს ხაზი და მთავრობის ყურადღებაც მიიქციეს. კორონავირუსის პრევენციისთვის დაწესებულმა შეზღუდვებმა ამ სფეროს წარმომადგენლები განსაკუთრებით დააზარალა. ტაქსის კომპანიების 3 ათასი მანქანიდან, მხოლოდ 500 მუშაობს, დანარჩენები კი ავტოფარეხში დგანან და ბოსტნებიც სწორედ მათ სახურავებზე მოაწყვეს. სამსახურის გარეშე დარჩენილ მძღოლებს, ტაქსების სახურავებზე ბადრიჯანი, კიტრი, წიწაკა და რეჰანი მოჰყავთ.

გამოცდების გამო ინტერნეტი გათიშეს

ინდოეთის რაჯასტანის შტატში, დროებით გათიშეს მობილური ინტერნეტი, რათა სკოლის მასწავლებლობის მსურველთა ტესტირება პატიოსნად ჩატარებულიყო. დილის 6-დან საღამოს 6 საათამდე, დაახლოებით, დაახლოებით, 8.5 მილიონ ადამიანს ინტერნეტი გაეთიშა. Teacher Eligibility Test-ს, მიმდინარე წელს, 1.5 მილიონი ადამიანი აბარებდა, ვაკანსია კი სულ 50 ათასი იყო. გამოცდაზე მასობრივ გადაწერებს რომ არ ჰქონოდა ადგილი, დაბლოკილი იყო მესინჯერები, ინტერნეტ-სერვისები და სოციალური ქსელები. შტატში მხოლოდ ხმოვანი ზარები იყო ნებადართული.

ამის მიუხედავად, მასწავლებლობის ზოგიერთი მსურველი გადაწერას მაინც შეეცადა. პოლიციამ ხუთი ასპირანტი დააკავა, რომლებიც ტესტირებაზე "შლოპანცებში" ჩამონტაჟებული ბლუთუზ-მოწყობილობებით გამოცხადდნენ. მსგავს ზომებს შტატში სხვა გამოცდების დროსაც მიმართავენ. იგივე სახით ებრძვიან გადაწერას ალჟირშიც - სკოლის გამოცდების დროს, ინტერნეტს მთელ ქვეყანაში თიშავენ.

ვინი-პუჰის ქოხს აქირავებენ

სასექსის ტყეში, ეს სახლი კომპანია Disney-მ, საყვარელი პერსონაჟის 95 წლის იუბილესთან დაკავშირებით ააშენა. დათუნია პუჰის საცხოვრებლის ქირაობა, მსურველს, დღე-ღამეში 130 დოლარად შეეძლება. თუმცა ამის შესაძლებლობა, ჯერჯერობით, მხოლოდ ორი დღით ექნება. ეს პატარა სახლი ერნესტ შეპადრის ილუსტრაციების მიხედვით მოეწყო, რომელმაც პირველმა დახატა ვინი-პუჰი. ამ პატარა ოტელში, ერთდროულად ოთხი სტუმარი განთავსდება. სახლი მთლიანად არის აღჭურვილი ოჯახური დასვენებისთვის. სტუმრებს კერძების დაგემოვნებაც შეეძლებათ, რომლებსაც ადგილობრივი პროდუქტებით ამზადებენ.

„გასაფრქვევი ძილი“ ადვილად დაგაძინებთ

ფირმა Silicon Valley, ბაზარზე ტრანსდერმალური ტექნოლოგიების ახალი პროდუქტით დაბრუნდა, რომელსაც "გასაფრქვევი ძილი" უწოდეს. ეს მსოფლიოში პირველი სპრეია მელატონინით, რომელიც ადამიანს დაეხმარება, ბუნებრივად დაიძინოს და უკვე დასვენებულმა გაიღვიძოს. აღსანიშნავია, რომ უკვე დიდი ხანია, აბები მელატონინით მათ სამკურნალოდ გამოიყენება, რომლებსაც ამ მხრივ პობლემები აქვთ. ახალი პროდუქტის ავტორები აცხადებენ, რომ აბებთან შედარებით, სპრეის გარკვეული უპირატესობა აქვს. მათი მტკიცებით, შესაძლოა, აბების სახით, ჰორმონის ეფექტურობა საკვების გადამუშავების დროს დაიკარგოს. სპრეის სახით კი ამის პრობლემა არ არსებობს.

გასაფრქვევი მელატონინი ისეთ დონეს გაძლევთ, რაც აუცილებელია თქვენთვის და მას ნელ-ნელა, ჰორმონის გამომუშავებისა და გამოყენების ბუნებრივი პროცესის იმიტირების საშუალებით გაწვდით. "გასაფრქვევი ძილით" საკუთარ ძილს მართავთ. თუ ხშირად მოგზაურობთ და სასაათე სარტყლებს იცვლით, ან ღამის ცვლაში მუშაობთ, სპრეი დაგეხმარებათ, იმ დროს დაიძინოთ, როცა მოისურვებთ. საამისოდ, ის დაძინებამდე ერთი საათით ადრე, ყელის მიდამოში ორჯერ უნდა შეისხუროთ და დაელოდოთ, როდის დაგიმძიმდებათ ქუთუთოები. ერთი ბოთლი სპრეი 15 დოლარი ღირს და მას არ სჭირდება მოწონება აშშ-ს წამლებისა და პროდუქტების კონტროლის ორგანიზაციიდან, რადგან "გასაფრქვევი ძილი" კოსმეტიკური საშუალებების კლასიფიკაციაში გადის.

გახდომის მსურველებმა ლურჯი ფერი ჩაიცვით

ზედმეტი კილოგრამების მოშორება ყველა ადამიანის სურვილია, მაგრამ ამის გაკეთება არც ისე ადვილია, რადგან ხშირად, მადა ნებისყოფაზე იმარჯვებს. ამერიკელმა ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ მადის გაძლიერებაში, ტანსაცმლის ფერი უფრო დიდ როლს თამაშობს, ვიდრე ფიზიოლოგიური მაჩვენებელი. იმ ადამიანებს, რომლებსაც ცივი შეფერილობის - ლურჯი, იისფერი, ჟოლოსფერი, ნაცრისფერი, შავი ან თეთრი ტანსაცმელი აცვიათ, ზომიერი მადა აქვთ და შეუძლიათ, ნებისმიერ დროს უარი თქვან ჭამაზე. ნარინჯისფერი, კრემისფერი და კაკაოსფერი აძლიერებს ლტოლვას ტკბილეულისადმი. მეტიც, ეს ფერები ასტიმულირებენ მადას, ცხიმიანი საკვების მოთხოვნილებას, აუმჯობესებენ განწყობას. ლურჯის, ცისფერის, მწვანესა და ფირუზისფერის მოყვარულები ბევრად ნაკლებს მიირთმევენ.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ფერებთან დაკავშირებული ეს კანონზომიერება ვრცელდება არა მხოლოდ ტანსაცმელზე, არამედ, ჭურჭელზეც. მაგალითად, ნარინჯისფერი არშიით გაწყობილი თეთრი თეფში, ქალბატონების მადის "მთავარი მტერია". სამაგიეროდ, კარგი "დიეტოლოგია" იისფერი ან ლურჯი ორნამენტებით გაწყობილი ცისფერი თეფში. ასე რომ, მშვენიერო ქალბატონები, თუკი წონაში დაკლება გსურთ, ექსპერტების რჩევები გაითვალისწინეთ და თქვენი ტანსაცმლის ან ჭურჭლის ფერი შეცვალეთ. თუმცა შეეცადეთ, ექსპერიმენტები გატაცებად არ გექცეთ.

ყველაზე ძვირადღირებული თამაში წარადგინეს

იაპონურმა საიუველირო კომპანიამ Tanaka Kikinzoku, სამაგიდო თამაში - Jinsei game შექმნა, რომელიც მთლიანად ოქროსა და პლატინისგანაა დამზადებული. ამ სათამაშო ნაკრებისთვის 12.4 კილოგრამი ოქრო და 4.5 კილოგრამი პლატინა გაიხარჯა. აღსანიშნავია, რომ ყველა დეტალი ხელითაა დამზადებული. ამ ძვირადღირებული თამაშის ფასი 150 მილიონი იენია (1.3 მილიონი დოლარი). კომპანიის წარმომადგენლების თქმით, ის მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული სამაგიდო თამაშია. Jinsei game (სიცოცხლის თამაში) იაპონიაში, პირველად 1967 წელს გამოჩნდა, რომელიც დღემდე საკმაოდ პოპულარულია ქვეყანაში.

ძაღლის „ნამუშევრები“ გაყიდეს

აშშ-ში, ვირჯინიის შტატში მდებარე ცხოველთა თავშესაფარში ცხოვრობს სტაფორდშირული ტერიერი, სახელად რიკასო, რომელსაც ხატვის "ნიჭი" აღმოაჩნდა. რიკასო ტილოზე კუდით ხატავს, რომელიც საღებავით აქვს დაფარული. მისი "შემოქმედება", სულ 20 ნახატი, აუქციონზე გაიტანეს გასაყიდად. რიკასოს მხატვრობამ მოწონება დაიმსახურა, სურათები გაიყიდა და შემოსავალმა 4 ათასი დოლარი შეადგინა. ეს თანხა ამავე თავშესაფარში მცხოვრებ ცხოველებს მოხმარდება. ცნობილია, რომ ჯერჯერობით, რიკასო კვლავ ამ დაწესებულებაში რჩება იმ იმედით, რომ პატრონი გამოუჩნდება.

კაკალი სასარგებლო ბაქტერიების რაოდენობას ზრდის

ყოველდღიურად ნიგვზის მოხმარება, ნაწლავებში სასარგებლო ბაქტერიების რაოდენობას ზრდის - ასეთ დასკვნამდე მივიდნენ სწავლულები, პენსილვანიის უნივერსიტეტიდან. მათ ექსპერიმენტები ჩაატარეს, რომელშიც 30-დან 65 წლამდე ასაკის, ჭარბი წონის მქონე მოხალისეები მონაწილეობდნენ. მათ დიეტაში ნაჯერი ცხიმები, კაკლითა და მცენარეული ცხიმებით შეცვალეს. ექვსკვირიანი ექსპერიმენტის შემდეგ გაირკვა, რომ ნიგვზის ყოველდღიური მოხმარება, ნაწლავებში სასარგებლო ბაქტერიების რაოდენობას ზრდის. ყოველდღიურად, 50-80 გრამი ნიგოზიც კი დადებით გავლენას ახდენს ნაწლავების მიკროფლორაზე, ამცირებს გულის დაავადებების რისკს და ხელს უწყობს ორგანიზმის საერთო გაჯანსაღებას - დაასკვნეს ექსპერტებმა.

ხელოვნური ნერვი შექმნეს

მკვლევარებმა შვედეთის ლინჩეპინგის უნივერსიტეტიდან, შექმნეს და მსოფლიოს წარუდგინეს ხელოვნური ნერვი. ამ თემაზე სწავლულები 10 წელიწადს მუშაობდნენ. ასეთი ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, გამა-ამინომჟავები და სხვა პრეპარატები, თითქმის, ისეთივე სისწრაფით გადასცეს, როგორც გადასცემს სიგნალებს ნერვული სისტემა. მკვლევარებმა საკუთარ გამოგონებას "იონური სატუმბი" უწოდეს. ის უპრობლემოდ შეძლებს ურთიერთქმედებას ადამიანის ნერვულ სისტემასთან - აცხადებენ სწავლულები. ისინი მზად არიან, ტექნოლოგიის ტესტირება დაიწყონ ცოცხალ უჯრედებზე. მათი თქმით, "იონური სატუმბი" შეიძლება გამოიყენონ ქრონიკული ტკივილების მკურნალობისას, ან ეპილეფსიური შეტევების შეჩერების მიზნით.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.